ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელ ანრის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

- თამარ ვეფხვაძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

წევრები:

- მამუკა ხოშტარია, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
- კახაბერ ხინთიბიძე, სსიპ საქართველოს საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო
- ნინო ორაგველიძე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ბათუმი, საქართველო
- მარი რუამე (სტუდენტი), სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

თბილისი
2019

[1] შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს - კერძო სამართლის იურიდიული პირი
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	245539403
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. ბათუმი 6010, შ.ხიმშიაშვილის ქ.№11/4 ფაქტიური: ქ.ბათუმი 6010, შ.ინასარიძის ქ.N29
ვებ-გვერდი	http://www.mtc-anri.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზაცია მინიჭებულია 27.05.2015-დან 5 წლის ვადით
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	N 39, 19.04.2018
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	27.05.2021

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	2
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	0
მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	6
მესამე საფეხურის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა	2
დოქტორანტურა	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0
ქართულ ენაში მომზადების	0
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	0
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[2]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	0

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	198	29	-
ბაკალავრიატი	198	29	23
მაგისტრატურა	-		

ერთსაფეხურიანი	-		
დოქტორანტურა	-		
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-		
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-		
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	-		
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-		

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	130
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	15
- პროფესორი	4
- ასოცირებული პროფესორი	5
- ასისტენტ პროფესორი	6
- ასისტენტი	0
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	0
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	8
- აფილირებული პროფესორი	3
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	2
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	3
- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	73
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	52 (წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით 30.04.2019)

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4466.11 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1988.06 კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2159.03 კვ.მ

სასწავლო-სამგზავრო გემი	319.2 კვ.მ

მისამართები:

1. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა N29. ს/კ 05.32.12.028 – 3200,50 კვ.მ
2. ბათუმი, დასახლება ადლია/ ქალაქი ბათუმი დასახლება ანგისა. ს/კ 05.32.12.050 – 1705,00 კვ.მ
3. ბათუმი, ბათუმის პორტი, საზღვაო გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“ – 319.2 კვ.მ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, შეფასდა მხოლოდ უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულება 60-დღიან ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა უსდ-ს სრული შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდათ ვიზიტამდე შეესწავლათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საინფორმაციო შეხვედრისას ემსჯელათ ძირითადი საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 8-9 ივლისს. ვიზიტის დროს წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის - სასწავლებლის კუთვნილი სასწავლო გემის) დათვალიერება.	
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში • შეფასების განხორციელების თარიღი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 558 – 02.07.2019 – „შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ - ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღი: 8-9 ივლისი, 2019)	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
სტანდარტი 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	

სასწავლებლის ვებ-გვერდზე აიტვირთოს მხოლოდ მოქმედი დოკუმენტი - კოლეჯის მისია, მიღებული 03.01.2019	გათვალისწინებულია. სასწავლებლის ვებ-გვერდზე ატვირთულია განახლებული მისია, რომელიც დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 30 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე - ოქმი N10. მისიის განაცხადი წარმოადგენს 2019 წლის დასაწყისში მიღებული მისიის გადამუშავებულ ვარიანტს. მისიაში გათვალისწინებულია სასწავლებლის წინაშე არსებული ახალი გამოწვევები და პერსპექტივები, ხაზგასმულია სასწავლებლის მიერ საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა, სტუდენტთა და მსმენელთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, აკადემიურ პროგრამებთან ერთად, პროფესიული პროგრამებისა და მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების კურსების, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო პრიორიტეტის განხორციელება
სამოქმედო გეგმაში ნათლად განისაზღვროს განსახორციელებელი აქტივობების განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები	გათვალისწინებულია. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებშიც კონკრეტულადაა გაწერილი დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მათ შესასრულებლად საჭირო რესურსები
სტრატეგიული მიზნები - მონიტორინგი და ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი წარმოდგეს და განხორციელდეს როგორც მექანიზმი და არა სტრატეგიული მიზანი	გათვალისწინებულია. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმა, სადაც ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი წარმოდგენილია, როგორც დასახული მიზნების განხორციელების ხელშემწყობი ერთ-ერთი ინსტრუმენტი
გაუმჯობესდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, მონიტორინგის შედეგებზე სათანადო რეაგირებით	გათვალისწინებულია. სტრატეგიული გეგმის ახალ რედაქციასა და სამოქმედო გეგმებში ასახულია მიზნებისა და ამოცანების გაზომვის ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები. სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორების მონიტორინგის სქემა მოიცავს ინდიკატორებს, სამიზნეებს, საწყის მონაცემებს, გადამოწმების წყაროებსა და პასუხისმგებელ პირებს, ასევე მონაცემთა მოკრება/ანალიზის პერიოდულობას
სტანდარტი 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
გაუმჯობესდეს სასწავლებლის სტრუქტურა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, მათ შორის, სტრუქტურას დაემატოს ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური, დაკორექტირდეს ან გაუქმდეს 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეულის სტრუტურული ერთეული	გათვალისწინებულია. დაწესებულების სტრუქტურა კორელაციაშია სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან და ასახულია მასში. სტრუქტურას დაემატა საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება. გაუქმდა 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეულის სტრუქტურული ერთეული
ნათლად და მკაფიოდ გაიწეროს სენატის წევრების (მათ შორის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების) არჩევის, კენჭისყრის ან შერჩევის პროცესი	გათვალისწინებულია. დაწესებულებამ შეიმუშავა ნორმატიული დოკუმენტი: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მართვის ორგანოებში შერჩევის წესი“ - დამტკიცებული სასწავლებლის სენატის 2019 წლის 3 აპრილის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N08 (მართვის ორგანოებში არჩევის/ დანიშვნის წესი და პროცედურები),

	სადაც მკაფიოდაა გაწერილი სენატის წევრების (მათ შორის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების) არჩევის პროცედურები
შემუშავდეს სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	გათვალისწინებულია. დაწესებულებამ შეიმუშავა დოკუმენტი: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“ - დამტკიცებული სასწავლებლის სენატის 2019 წლის 3 აპრილის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N08. ამავე დადგენილებით დამტკიცებულია შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი
შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა	გათვალისწინებულია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ნორმატიული დოკუმენტები: • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - დამტკიცებული შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 11 აპრილის სენატის სხდომაზე, N09 ოქმით. (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება) • შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მეანიზმები - დამტკიცებული შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 11 აპრილის სენატის სხდომაზე, N09 ოქმით (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება) • შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა - დამტკიცებული შპს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N08
შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას მარტივი, ეფექტური და განხორციელებადი პროცედურები/მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში. დაწესებულებამ დახვეწოს და პრაქტიკულად განახორციელოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ისე რომ განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი (პროგრამის ხელმძღვანელები, სტრუქტურული დანაყოფები და სხვა)	გათვალისწინებულია. ზემო სვეტში ჩამოთვლილ ნორმატიულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დაწესებულების სხვადასხვა რგოლის ჩართულობისა და ურთიერთანგარიშვალდებულების მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
დადგენილი პერიოდულობით განხორციელდეს სტუდენტთა და სხვა პირთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი	გათვალისწინებულია. დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს შემდეგი კვლევები: • საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა • დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა • 2016 და 2017 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა

შემუშავდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები	გათვალისწინებულია. დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს საანგარიშო პერიოდში შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები
შემუშავდეს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას	გათვალისწინებულია. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. კერძოდ, სასწავლებელში მოქმედებს სტუდენტთა და მსმენელთა ეთიკის კოდექსი (დამტკიცებული შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 23 მარტის სენატის სხდომაზე, N07 ოქმით) და პერსონალის ეთიკის კოდექსი (ასევე, დამტკიცებული ამავე ოქმით). ეთიკის პრინციპების დაცვა ასახულია, აგრეთვე, დაწესებულების შინაგანაწესში (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის შინაგანაწესი- დამტკიცებული 2019 წლის 03 იანვრის სენატის სხდომაზე, N01 ოქმით)
შემუშავდეს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები	გათვალისწინებულია. დაწესებულებაში მუშაობს ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა. ამავდროულად, დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმების დებულება“ - დამტკიცებული შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი 2019 წლის 27 მაისის სენატის სხდომაზე, N12 ოქმით
სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები	
დაწესებულებამ შიდა ხარისხის მექანიზმების გამოყენებით შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების არსებული დოკუმენტების გამართულობა, გააუმჯობესოს და ნათელი გახადოს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი და პროცედურები	გათვალისწინებულია. დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და მისი გაუქმების პროცედურები - დამტკიცებულია შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 30 აპრილის სენატის სხდომის დადგენილებით, ოქმი N10
მოდერნიზდეს „სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩატარების წესი“ უფრო მოქნილი, გამჭვირვალე და სწავლის შედეგების ადექვატურ შეფასების მიდგომებზე ორიენტირებით	გათვალისწინებულია. ზემოთ მოყვანილი ნორმატიული დოკუმენტი: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს დაწესებულებაში სტუდენტთა ობიექტური, გამჭვირვალე და ადეკვატური შეფასებასა და შუალედური თუ ფინალური გამოცდების ადმინისტრირების საკითხებს
სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სწავლის შედეგის შეფასებისათვის ნათლად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები	გათვალისწინებულია. სასწავლო პრაქტიკის სილაბუსები მოდერნიზებულია ექსპერტთა შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინებით
სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი	

შემუშავდეს პერსონალის მართვის პოლიტიკა მწყობრი სისტემით	გათვალისწინებულია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი: პერსონალის მართვის დებულება (დამტკიცებული შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 11 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N09), სადაც გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები, მათ შორის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების, შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები
საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კოლეჯმა უნდა დაადგინოს სამიზნე ნიშნულები და ზრუნავდეს მათ გაუმჯობესებაზე	გათვალისწინებულია. პერსონალის განვითარებასთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამიზნე ნიშნულები დადგენილია დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. ამასთან, დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სენატის 2019 წლის 11 აპრილის № 9 გადაწყვეტილებით, და, ასევე მოიცავს პერსონალის საქმიანობის შეფასების ასპექტებს
კოლეჯმა პერსონალის მართვასა და განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები	გათვალისწინებულია. დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგებიც ასახულია დოკუმენტურად: პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში
სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	
კოლეჯმა უნდა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტთა კარიერული წინსვლისა და მხარდაჭერის სერვისების მიწოდებაზე	გათვალისწინებულია. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება. ამასთან, სასწავლებელში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების ძირითადი მიმწოდებელი სტრუქტურაა სტუდენტთა მსმენელეთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია სტუდენტთა კონსულტირება და მხარდაჭერა
სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
შემუშავდეს დაწესებულების, როგორც კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ხედვა და მის საქმიანობაში აისახოს კვლევითი აქტივობები	გათვალისწინებულია. საანგარიშო პერიოდში სასწავლებელში კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელდა გარკვეული აქტივობები. შემუშავდა და დამტკიცდა ნორმატიული დოკუმენტები: • „კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები“ - დამტკიცებული ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 და • „კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები“ - დამტკიცებული ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის

	დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 (სასწავლებლის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია)
დაწესებულებამ უნდა დაგეგმოს დ განავითაროს კვლევითი აქტივობები ისე, რომ უპასუხოს მოთხოვნას: „ახორციელებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე“	გათვალისწინებულია, თუმცა, ნაწილობრივ შესრულებულია. ამ ნაწილში გავიმეორებთ ექსპერტთა ჯგუფის საერთო აზრს, რომელიც ფორმულირებული გვაქვს ქვემოთ, შესაბამისი ქვესტანდარტების აღწერით ნაწილში: „ხაზგასმით მნიშვნელოვანია სასწავლებლის მხრიდან საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინება კვლევითი აქტივობების დაგეგმვისას. დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციაში არაერთგზისაა ნახსენები სიტყვა „მეცნიერება“, რაც, სასწავლებლის სტატუსიდან და პრაქტიკაზე ორიენტირებული შინაარსიდან გამომდინარე, ზედმეტად უტრირებულია. ასევე გაზვიადებულია სასწავლებლის მიერ რეფერირებადი და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო პუბლიკაციების მოთხოვნა პერსონალისთვის. სასწავლებელს ეს პოტენციალი არ გააჩნია. სასწავლებელი სტატუსით კოლეჯს წარმოადგენს, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო და პროფესიულ პროგრამებს და არ გეგმავს სამომავლოდ სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. შესაბამისად, სასწავლებლის რესურსი სრულ შესაბამისობაშია საკუთარ სტატუსსა თუ დარგობრივ მიმართულებასთან. სწავლების განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სათანადო პრაქტიკული თუ პროფესიული კომპეტენციებით შესაბამისი დარგობრივი მიმართულების ფარგლებში. ამდენად, რეკომენდებულია, სასწავლებელმა განავითაროს პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური შინაარსის იქნება და მოემსახურება შესაბამისი ცოდნისა თუ კომპეტენციების განვითარებისთვის ეფექტური მიდგომების მეთოდოლოგიის შემუშავებას“. (ციტ.)
შემუშავდეს კვლევის განვითარებისა და და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა	გათვალისწინებულია და ნაწილობრივ შესრულებულია. დაწესებულებაში შემუშავებულია ნორმატიული დოკუმენტი: „შპს ბუსსს ანრის კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები“ - დამტკიცებულია სასწავლებლის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07, სადაც გაწერილია სასწავლებლის კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია. ამავე დადგენილებით დამტკიცებულია სასწავლებლის „კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები“ და „კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმები“ (კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები). სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 წლები - დამტკიცებული შპს ბუსსს ანრის სენატის მიერ 2019 წლის 30 აპრილის სხდომაზე, ოქმი N10 - ასევე მოიცავს პარაგრაფს: „ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო/შემოქმედებითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან“.

	ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნისა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის მნიშვნელოვანია სხვა, როგორც დარგობრივ, ასევე, მრავალპროფილიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებელთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორთან სასწავლებლის კოოპერაცია და ურთიერთთანამშრომლობა
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სამუშაოებში, რაც მიმდინარე ეტაპზე შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შეთავაზა ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს	გათვალისწინებულია და შესრულების პროცესშია. 2019 წლის 16 აპრილის „ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სასწავლებლის ბიბლიოთეკაში დაინერგა ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა „OpenBiblio” (http://mtc-anri.edu.ge/lib/opac/index.php). ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები EBSCO EP Package Elite -ში შემავალი ელექტრონულ ბაზებთან წვდომის მიზნით შპს Innovative Systems Management -თან
პრაქტიკაში დაინერგოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა	გათვალისწინებულია და შესრულების პროცესშია. ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 დამტკიცებულია ნორმატიული დოკუმენტი: „შპს ბუსსს ანრის კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები“, რომელიც მოიცავს ოფციას „კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმები“ (კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები). პრაქტიკული შედეგები ამ მექანიზმების ამუშავების შემდგომ გახდება ცნობილი
სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	
უსდ-მ უზრუნველყოს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის, ტექნიკური მექანიკის და ელექტრო მექანიკის ლაბორატორიების მოწყობა	გათვალისწინებულია. საანგარიშო პერიოდში სასწავლებელმა შეისყიდა პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის, ტექნიკური მექანიკის და ელექტრო მექანიკის აღჭურვილობა, რაც განთავსებულია შესაბამის სტენდებზე სტუდენტთა მოხმარებისათვის
შეიცალოს ბიბილიოთეკის სამუშაო განრიგი და მოვიდეს სტანდარტთან შესაბამისობაში - კვირაში არანაკლებ 6 დღე, 60 საათი	გათვალისწინებულია. ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან და მუშაობს კვირაში 60 სათის მოცულობით
უსდ-მ უზრუნველყოს საერთაშორისო ბაზებთან წვდომა	გათვალისწინებულია და შესრულების პროცესშია. 2019 წლის 16 აპრილის „ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სასწავლებლის ბიბლიოთეკაში დაინერგა ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა „OpenBiblio” (http://mtc-anri.edu.ge/lib/opac/index.php). ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები EBSCO EP Package Elite -ში შემავალი ელექტრონულ ბაზებთან წვდომის მიზნით შპს Innovative Systems Management -თან
შეიმუშავეთ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ინფორმაციული	გათვალისწინებულია. სასწავლებლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას

ტექნოლოგიების არსებული ინფრასტრუქტურის შეფასებაზე დაყრდნობით	ნორმატიული დოკუმენტის: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა“ მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია 2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N08. მიმდინარე წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების მიერ განხორციელდა 2 საკვანძო გამანაწილებელი წერტილის გაახლება უფრო მაღალი გამტარობის აპარატურით (100 მბ-ანი კვანძები ჩანაცვლდა 1000 მბ-ანით). 2020 წლის ბოლომდე დაგეგმილია გამოიცვალოს ყველა ძირითადი საკვანძო გამანაწილებელი წერტილი ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით. გამართულია დომენური სისტემა. ცენტრალიზებულად ხორციელდება ოპერაციული სისტემების განახლება.
უზრუნველყოფილ იქნას უსდ-ს ვებ-გვერდის სრულყოფილი ფუნქციონირება	გათვალისწინებულია. სასწავლებლის განახლებული ვებ გვერდი ინფორმაციულია და ფუნქციონირებს გამართულად როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე
დაიგგემოს და გონივრულ ვადაში მოხდეს საინფორმაციო რესურსების სრულფასოვანი ფუნქციონირება და ხელმისაწვდომობა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის	გათვალისწინებულია. სასწავლებელში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემა e flow. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო ადგილებზე გააქტიურებულია ნორმატიული აქტების ბაზა codex (ადმინისტრაცია, საფინანსო, მატერიალური რესურსები, იურიდიული სამსახური, სამართლის დეპარტამენტი) და საბუღალტრო პროგრამა (info-ბუღალტერია). საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების მიერ პერიოდულად ხორციელდება სიმულატორებზე განთავსებული მონაცემთა ბაზების ასლების აღება (BackUp) და საცავში შენახვა. კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია ინტერნეტში 24/7 რეჟიმით - როგორც პერსონალისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. 2019 წლიდან სასწავლებლის კორპორატიული ფოსტის სერვისები დაინერგა და ფუნქციონირებს mtc-anri.edu.ge დომენით. საინფორმაციო რესურსები უწყვეტ რეჟიმში ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტთათვის, ასევე პერსონალისთვის
უსდ-მ შეიმუშაოს და განავითაროს ელექტრონული პორტალი სტუდენტების სარგებლობისთვის	გათვალისწინებულია. სტუდენტური პორტალი ტესტირების რეჟიმშია და სრული დატვირთვით ამუშავდება 2019 წლის სექტემბრიდან
გადაიხედოს საფინანსო განყოფილების დებულება და ჩამოყალიბდეს ბიუჯეტის შედგენის პროცესი და პასუხისმგებლობები	გათვალისწინებულია. სასწავლებელში შემუშავებულია ნორმატიული დოკუმენტი: „შპს ბათუმის საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა“, რომელიც დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N08. ამასთან, დაწესებულებას ჰყავს საშტატო განრიგით უზრუნველყოფილი ფინანსური მენეჯერი - საფინანსო განყოფილების უფროსი. შემუშავდა და დამტკიცდა საფინანსო განყოფილების ახალი დებულება (2019 წლის 04 აპრილი). 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას (განახლებისას) გათვალისწინებულ იქნა სასწავლებლის განვითარების პრიორიტეტები მომავალი საბიუჯეტო

	წლისათვის წინასწარ განსაზღვრულ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად
უსდ-მ უნდა შეადგინოს ორგანიზაციის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება ასახული შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი და შესაბამისად იქნება გათვლილი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე	გათვალისწინებულია. სასწავლებლის ბიუჯეტში დეტალურადაა გაწერილი შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი და კორელაციაშია განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან
უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დაფინანსება სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის	გათვალისწინებულია. სასწავლებლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი კვლევების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაცია მიენიჭა 2015 წლის 27 მაისს - 5 წლის ვადით. 2019 წლის 12-13 თებერვალს დაწესებულებაში განხორციელდა ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის დროსაც დაწესებულება შეფასდა ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების მიხედვით. შედეგად, უსდ ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 01. 04 N 704 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის განესაზღვრა გარკვეული ვადა (60 დღე). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N 558 – 02.07.2019 – „შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ - საფუძველზე, ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მორიგი ვიზიტის თარიღად განისაზღვრა 7-9 ივლისი, 2019. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.

სტანდარტი 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია, როგორც **შესაბამისი** მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია, როგორც **მეტწილად შესაბამისი** მოთხოვნებთან.

ამასთან, ქვესტანდარტში - 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, მეტად გააქტიურდეს მუშაობა სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მიმართულებით.

ქვესტანდარტში - 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, ხარისხის კულტურის ამაღლებისთვის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ერთეულთან სახელმძღვანელოს: „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015” გაცნობის მიზნით.

სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია, როგორც **მეტწილად შესაბამისი** მოთხოვნებთან.

ქვესტანდარტში - 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, განხორციელდეს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის და რეფრიჟერატორული ლაბორატორიებისთვის ამოცანების შედგენა და ამ ლაბორატორიების შესაძლებლობების ასახვა შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

ქვესტანდარტში 3.3 - სწავლის შედეგების შეფასება - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა სტუდენტთა მიღწევების შეფასების შეწონილი ქულის GPA გამოთვლის წესის შესახებ ინფორმირებულობის მიზნით ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან.

აქვე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დაწესებულებაში გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება და რომელიმე პრაქტიკული კურსის სწავლება განხორციელდეს ინგლისურ ენაზე.

სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია, როგორც **შესაბამისი** მოთხოვნებთან.

ქვესტანდარტში - 4.1. პერსონალის მართვა - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, დაწესებულების გააქტიურება ინგლისურ ენაში პერსონალის გადამზადებისა და ღონისძიებების გატარება პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის.

სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია, როგორც **შესაბამისი** მოთხოვნებთან.

ქვესტანდარტში - 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, მუშაობის გააქტიურება დაწესებულების ჩასართავად საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში სტუდენტთა და პერსონალის მობილობის უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია, როგორც **ნაწილობრივ შესაბამისი** მოთხოვნებთან.

ქვესტანდარტში - 6.1 კვლევითი საქმიანობა - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნისა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის - სხვა, როგორც დარგობრივ, ასევე, მრავალპროფილიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებელთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორთან სასწავლებლის კოოპერაცია და ურთიერთთანამშრომლობა.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სასწავლებელმა განავითაროს პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური შინაარსის იქნება და მოემსახურება შესაბამისი ცოდნისა თუ კომპეტენციების განვითარებისთვის ეფექტური მიდგომების მეთოდოლოგიის შემუშავებას

აქვე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ეფექტიანი ანგარიშგებისა და შეფასების სისტემის განვითარება

აქვე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა

აქვე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით აკადემიური პერსონალის კომპეტენციების განვითარება (საპროექტო წინადადების მომზადება, უცხო ენის ფლობა, ანალიტიკური უნარები)

ქვესტანდარტში - 6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სასწავლებლის სპეციფიკისა და დარგობრივი თავისებურების გათვალისწინებით, პრაქტიკაში დაინერგოს აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის ადეკვატური, ობიექტური სისტემა

სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია, როგორც **მეტწილად შესაბამისი** მოთხოვნებთან.

ქვესტანდარტში - 7.2. საბიბლიოთეკო რესურსები - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი დარგობრივი გამოცემებით

ქვესტანდარტში - 7.4 ფინანსური რესურსი - ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, დასახული ამოცანების ეფექტურად განხორციელებისათვის გააქტიურდეს სასწავლებლის მენეჯმენტის მუშაობა დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებისათვის - სხვადასხვა გრანტების, დარგის განვითარებაზე ორიენტირებული ფონდებისა და შესაბამისი პროექტების სახით

რეკომენდაციები

სტანდარტი 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- რეკომენდებულია, მეტად გააქტიურდეს მუშაობა სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მიმართულებით.
- რეკომენდებულია, ხარისხის კულტურის ამაღლებისთვის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ერთეულთან სახელმძღვანელოს: „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015" გაცნობის მიზნით.

სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები

- რეკომენდებულია, განხორციელდეს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის და რეფრიჟერატორული ლაბორატორიებისთვის ამოცანების შედგენა და ამ ლაბორატორიების შესაძლებლობების ასახვა შესაბამისი საგნების სილაბუსებში.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა მიღწევების შეფასების შეწონილი ქულის GPA გამოთვლის წესის შესახებ ინფორმირებულობის მიზნით ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან.
- რეკომენდებულია, დაწესებულებაში გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება და რომელიმე პრაქტიკული კურსის სწავლება განხორციელდეს ინგლისურ ენაზე.

სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი

- რეკომენდებულია, დაწესებულების გააქტიურება ინგლისურ ენაში პერსონალის გადამზადებისა და ღონისძიებების გატარება პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის.

სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

- რეკომენდებულია, მუშაობის გააქტიურება დაწესებულების ჩასართავად საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში სტუდენტთა და პერსონალის მობილობის უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

- კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნისა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის, რეკომენდებულია, სხვა, როგორც დარგობრივ, ასევე, მრავალპროფილიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებელთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორთან სასწავლებლის კოოპერაცია და ურთიერთთანამშრომლობა.

- რეკომენდებულია, სასწავლებელმა განავითაროს პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური შინაარსის იქნება და მოემსახურება შესაბამისი ცოდნისა თუ კომპეტენციების განვითარებისთვის ეფექტური მიდგომების მეთოდოლოგიის შემუშავებას
- რეკომენდებულია, კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ეფექტიანი ანგარიშგებისა და შეფასების სისტემის განვითარება
- რეკომენდებულია, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა
- რეკომენდებულია, საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით აკადემიური პერსონალის კომპეტენციების განვითარება (საპროექტო წინადადების მომზადება, უცხო ენის ფლობა, ანალიტიკური უნარები)
- რეკომენდებულია, სასწავლებლის სპეციფიკისა და დარგობრივი თავისებურების გათვალისწინებით, პრაქტიკაში დაინერგოს აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის ადეკვატური, ობიექტური სისტემა

სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი დარგობრივი გამოცემებით
- რეკომენდებულია, დასახული ამოცანების ეფექტურად განხორციელებისათვის გააქტიურდეს სასწავლებლის მენეჯმენტის მუშაობა დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებისათვის - სხვადასხვა გრანტების, დარგის განვითარებაზე ორიენტირებული ფონდებისა და შესაბამისი პროექტების სახით

რჩევები

სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი

- მიზანშეწონილია, სასწავლებელში აკადემიური და დამხმარე პერსონალის პრაქტიკული მოზიდვის სისტემის ჩამოყალიბება
- მიზანშეწონილია, პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემდგომი განვითარება
- მიზანშეწონილია, პერსონალის მართვის პროცესში პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს გამოყენების უზრუნველყოფა
- მიზანშეწონილია, სამართლიანი და ეფექტიანი ანაზღაურებისა და წახალისების სისტემის დახვეწა, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგებს

სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

- მიზანშეწონილია, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა სტუდენტებში
- მიზანშეწონილია, კარიერული მხარდაჭერის სერვისის გაძლიერება და სტუდენტთა კარიერული განვითარების პროგრამების რაოდენობის გაზრდა
- მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სერვისების გაუმჯობესება
- მიზანშეწონილია, სტუდეტური პროექტების დაფინანსების გაზრდა

სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

- მიზანშეწონილია, კურიკულუმებში იმგვარი სასწავლო კურსის ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტის კომპეტენციებს კვლევითი/ანალიტიკური მიმართულებით (მაგ., „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“)

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☐	☒	☐	☐

7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. თამარ ვეფხვაძე



2. მამუკა ხოშტარია

3. კახაბერ ხინთიბიძე

4. ნინო ორაგველიძე

5. მარი რუაძე (სტუდენტი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პირველი მონიტორინგის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე, დაწესებულების მისიის განახლებული რედაქცია დამტკიცებულია 2019 წლის 30. 04 - ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ სენატის დადგენილების N10 საფუძველზე. მისია შეიცავს დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებს. დოკუმენტი მკაფიოდ ასახავს დაწესებულების როლს და მნიშვნელობას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე: ბუსს ანრის მისიაში ნაჩვენებია, რომ „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ეფუძნება რა უმაღლესი და პროფესიული განათლების, ასევე მეზღვაურთა განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების უნიფიცირებულ სტანდარტებსა და წესებს ისწრაფვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე ცოდნის შექმნისა და გავრცელებისაკენ. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი საზღვაო-სავაჭრო ფლოტისა და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ და პროფესიულ განათლებას, რომელიც განხორციელდება სწავლებით, სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული გარემოს შექმნით. ამით სასწავლებელი ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას. დაწესებულების ხედვაა „ ... საზღვაო განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად სასწავლებელი ჩამოყალიბდეს სწავლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნად და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში ხელმისაწვდომ უმაღლეს სასწავლებლად. რაც თავის მხრივ ემსახურება სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო გარემოს შექმნას იმ მიზნით, რომ მათ მოახდინონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა და უწყვეტი სწავლების პრინციპის განხორციელება“. დაწესებულების ღირებულებებია: „სამართლიანობა; ჰუმანურობა; ტოლერანტობა; თანაბარი შესაძლებლობები; მრავალფეროვნება; თავისუფლება და პასუხისმგებლობა; კეთილსინდისიერება; აკადემიური თავისუფლება; ღიაობა და გამჭირვალეობა;

განვითარებაზე ორიენტირებულობა“... ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბებულია ნათლად და შესაბამისობაშია სასწავლებლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან. კოლეჯი ანრი საერთაშორისო შრომის ბაზრისა და საერთაშორისო საზღვაო კონვენციის STCW სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს კვალიფიცირებულ, მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრებს როგორც საზღვაო ტრანსპორტის, ასევე საზღვაო სფეროს სხვა დარგებში დასასაქმებლად. ამასთან, სასწავლებელი წარმოადგენს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრს, რომელიც აღიარებულია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. დაწესებულების მისია ხელმისაწვდომია დაწესებულების ყველა თანამრომლისთვის და გაზიარებულია სასწავლებლის ვებ-გვერდზე. მისიის შესახებ ინფორმირებულობა ინტერვიუირებისას დაადასტურა ყველა სესიის წარმომადგენელმა. მაღალი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით მისიის პროექტი (სტრატეგიულ გეგმასთან ერთად) განთავსდა სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე ელექტრონული ფოსტით დაეგზავნა სასწავლებლის საზოგადოებას და მიეცათ წინადადება, საკუთარი მოსაზრებები ერთი კვირის მანძილზე წარმოედგინათ სამუშაო ჯგუფში. დაგეგმვის ჯგუფმა ჩაატარა ღია პრეზენტაციები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წინაშე, სადაც დასწრების შესაძლებლობა ჰქონდათ სასწავლებლის საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, დაინტერესებულ პირსა და მოწვეულ გარე აქტორს. განხილვების შესახებ წინასწარ ვრცელდებოდა ინფორმაცია ელ.ფოსტისა და ვებ-გვერდის მეშვეობით. მიუხედავად მცდელობისა , სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინგენტის ჩართულობა იყო დაბალი, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყო პროცესებისადმი მათი რეზისტენტულობით, ამგვარ აქტივობაში ჩართვის ნაკლები გამოცდილებით და საბოლო შედეგში მათი მოსაზრებების გაზიარების დაბალი მოლოდინებით. ასევე შემჭიდროვებული ვადებით. მიღებული კომენტარების განხილვის შემდეგ, დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოოდ მოწონებული იქნა მისიის პროექტი გენერალურმა დირექტორმა წარუდგინა სასწავლებლის სენატს განსახილველად და დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ მისია საჯაროდ გამოქვეყნდა სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დაწესებულების მისია • დაწესებულების ვებ-გვერდი • ინტერვიუები • დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა (იხ.სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია) • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პირველი მონიტორინგის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით დაწესებულების მიერ შემუშავებულ იქნა განახლებული სტრატეგული (7 წელი) და სამოქმედო (1 წელი და 3 წელი) გეგმები, რაც დამტკიცდა 2019 წლის 30 აპრილს სენატის სხდომაზე (ოქმი N10). დოკუმენტი წარმოადგენს გუნდური მუშაობის შედეგს, რომელიც ეფუძნება დაგროვილი გამოცდილების გააზრებისა და გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს. 7 წლიან სტრატეგიული გეგმაში გაწერილია სასწავლებლის მოკლე ისტორია, მისია, ხედვა, ღირებულებები და პასუხისმგებლობა, სტრუქტურა, ძლიერი და სუსტი მხარეები, სტრატეგიული მიზნები და სხვა საკითხები, რომლებიც ასახავს სასწავლებლის განვითარების ვექტორებს. ერთწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები თანხვედრაშია 7 წლიან სტრატეგიულ გეგმასთან შედარებით მოკლევადიან პერსპექტივაში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალით. უსდ-ის სტრატეგიული მიზნები გამომდინარეობს მისი მისიიდან და საქმიანობის პრიორიტეტებიდან. მიზნები და ამოცანები დროში გაწერილი და გაზომვადია. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ღონისძიებების შესრულების კრიტერიუმები და საჭირო რესურსები.
სასწავლელებს აქვს საკმარისი ადამიანური, მატერიალური და ფინასური რესურსები მოცემული ღონისძიებების განსახორციელებლად.
სასწავლებლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს მუშაობის გააქტიურებას 5 ძირითადი მიმართულებით. თითოეული მიმართულება მოიცავს მისთვის სპეციფიკურ მოსალოდნელ შედეგებს და მათი მიღწევის გზებს. ეს მიმართულებებია:

1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის განვითარება
2. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალზაციის პროცესის განვითარება
3. განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება
4. სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებების განვითარება
5. ორგანიზაციული განვითარება

დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდად იყენებს ე.წ. SWOT ანალიზს, რის საფუძველზეც აქვს შემუშავებული სტარტეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები მოიცავს უსდ-ს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა ასპექსტს, კვლევითი კომპონენტის ჩათვლით. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რაც გულისხმობს სულ მცირე, ერთ შემოწმებას წელიწადში შესაბამისი დაგეგმვით და ანგარიშით, ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ხშირადაც).
ერთწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები შეიცავს კონკრეტულად განსახორციელებელი ამოცანებისა და განხორციელების მექანიზმების ჩამონათვალს, განხორციელების ვადებს, ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურისა და ფინანსური რესურსის ოფციებს. საგულისხმოა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულობა და მათ შესახებ ინფორმირებულობა დადასტურდა ინტერვიუირების დროს ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების სესიებზე.
სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავდა ხუთ ძირითად ეტაპს:

- სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება;
- სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა;
- სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;
- სამოქმედო გეგმის შედგენა;
- სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადება.

1. **სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება:**

ა) სტრატეგიული გეგმის გადახედვის ინიცირება მოხდა გენერალური დირექტორის მიერ, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყო სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავება და ამ პროცესში სასწავლებლის ფართო საზოგადოების ჩართვა.

ბ) სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფიის საქმიანობას კოორდინაციას უწევდა გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფდა კომუნიკაციას სასწავლებლის სხვადასხვა ერთეულებთან, წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრირებას და სხვა მხარდაჭერას.

სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ:

- გენერალური დირექტორი
- რექტორი
- პროროექტორი
- ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი
- ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- საფინანსო განყოფილების უფროსი
- სტუდენტთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილების უფროსი
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
- იურიდიული განყოფილების უფროსი
- ფაკულტეტის დეკანი
- კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის მენეჯერი
- თვითმმართველობის წარმოადგენელი

დაგეგმვის პროცესს კონსლტაციას უწევდა სამართლის დოქტორი ლევან მოსახლიშვილი.

გ) სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა შეიმუშავა დაგეგმვის პროცესის დროში გაწერილი გეგმა, რომლის ხანგრძლივობად, განისაზღვრა ერთი თვე და რომელიც მოიცავდა სტრატეგიული გეგმის შექმნის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებსა და პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული გეგმის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს:
პირველ ეტაპზე - არსებული მდგომარეობის შეფასებას, მოლოდინებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას, სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეებისა ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების ახლებურ გაანალიზებას. მერე ეტაპზე სასწავლებლის მისიის განაცხადის რევიზიას, სასწავლებლის სამომავლო ხედვის ფორმირებას, სტრატეგიული მიზნები და ამოცანების რევიზიას, სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმების რევიზიას, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის სქემის შექმნას, სამწლიანი სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი ოპერაციული გეგმის განახლებას.

2. **სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა:** სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესი მოიცავდა შემდეგს: არსებული მდგომარეობის ანალიზი და დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრას, ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და გარემოს ანალიზს, სასწავლებლის სამომავლო ხედვის ფორმირებასა და მისიის განაცხადის რევიზიას, სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბებას და მათი მიღწევის მექანიზმების რევიზიას, ფინანსური გეგმის შემუშავებას მონიტორინგის გეგმის ჩამოყალიბებას, სტრატეგიული გეგმის განხილვას;

ა) არსებული მდგომარეობის ანალიზი და დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრას: ამ ეტაპზე განხორციელდა: დაინტერესებულ პირთა (სამიზნე ჯგუფები, ფოკუს ჯგუფები) გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად დაზუსტდა მათი მოლოდინები სასწავლებლის მიმართ;

ბ) ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და გარემოს ანალიზს: ამ ეტაპზე მოკრებილი ინფორმაციისა და ხელთ არსებული სხვა მონაცემების გათვალისწინებით, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა განხილვების შედეგად მოხდინა სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეებისა ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების ახლებურ გაანალიზება. ამის შემდგომ მოხდა დოკუმენტის გასაჯაროება და ერთი კვირის მანძილზე სასწავლებლის საზოგადოებას ჰქონდა საშუალება გამოეთქვა მოსაზრებები და გაეზიარებინათ საკუთარი უკუკავშირი.

*გ) **სასწავლებლის სამომავლო ხედვის ფორმირება და მისიის განაცხადის რევიზია:*** *სტრატეგიული* დაგეგმვის ჯგუფმა მოახდინა ***სასწავლებლის სამომავლო ხედვის ფორმირება და მისიის განაცხადის რევიზია და პირველადი ვერსია გაასაჯაროვდა*** კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების მიღების მიზნით, რის შემდეგაც სტრატეგიული დაგეგმვუს ჯგუფი კვლავ შეიკრიბა და შეიმუშავა დოკუმენტების საბოლოო ვერსია.

დ) სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება და სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმების განსაზღვრა: *ახალი* ხედვისა და მისიის შემუშავების შემდეგ დაგეგმვის ჯგუფმა იმსჯელა სტრატეგიული მიზნების შესახებ და შეიმუშავა მიზნების ჩარჩოს პირველადი ვარიანტი ასევე სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმებზე და შეიმუშავა სტრატეგიული გეგმის ერთიანი დოკუმენტის პირველი ვერსია.

მაღალი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სტრატეგიული გეგმის პროექტი განთავსდა სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე ელექტრონული ფოსტით დაეგზავნა სასწავლებლის საზოგადოებას და მიეცათ წინადადება, საკუთარი მოსაზრებები ერთი კვირის მანძილზე წარმოედგინათ სამუშაო ჯგუფში. დაგეგმვის ჯგუფმა ჩაატარა ღია პრეზენტაციები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წინაშე, სადაც დასწრების შესაძლებლობა ჰქონდათ სასწავლებლის საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, დაინტერესებულ პირსა და მოწვეულ გარე აქტორს. განხილვების შესახებ წინასწარ ვრცელდებოდა ინფორმაცია ელ.ფოსტისა და ვებ-გვერდის მეშვეობით. მიუხედავად მცდელობისა, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინგენტის ჩართულობა იყო დაბალი, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყო პროცესებისადმი მათი რეზისტენტულობით, ამგვარ აქტივობაში ჩართვის ნაკლები გამოცდილებით და საბოლო შედეგში მათი მოსაზრებების გაზიარების დაბალი მოლოდინებით. ასევე შემჭიდროვებული ვადებით.

ე) ფინანსური გეგმის შემუშავება: სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია გადაეცა სასწავლებლის საფინასო განყოფილებას ექსპერტიზისა და ფინანსური გაანგარიშებისთვის. მათ მიერ შემუშავებული ფინანსური გეგმა განხილულ იქნა დაგეგმვის ჯგუფის შეხვედრაზე და მოხდა დოკუმენტის არსებული ვერსიის კორექტირება.

ვ) მონიტორინგის გეგმა ჩამოყალიბება: მომზადებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა შეიმუშავა მიზნებისა და ამოცანების გაზომვის ინდიკატორები და შეთანხმდა სამიზნე ნიშნულებზე. სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორების მონიტორინგის სქემა მოიცავს ინდიკატორებს, სამიზნეებს, საწყის მონაცემებს, გადამოწმების წყაროებსა პასუხისმგებელ პირებს და მონაცემთა მოკრება/ანალიზის პერიოდულობას.

სასწავლებელს აქვს შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორების მონიტორინგის გეგმა, რომელიც მოიცავს ინდიკატორს, არსებულ მდგომარეობას, სამიზნე ნიშნულს, გადამოწმების წყაროს შეჯამენისა და ანალიზის ჩატარების პერიოდულობას. დაწესებულებას დაწყებული აქვს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი, რაც დასტურდება შესაბამისი სამსხურების ანგარიშებით. მონიტორინგზე პაუსუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულ იქნა 2019 წლის 30 აპრილს. დაწესებულების განმარტებით დროის სიმცირისა და საქმიანობის სპეციპიკის გათვალისწინებით (ვინაიდან დამსაქმებლები არიან უცხოური კომპანიები) ჩართული არ იყვნენ სტრაგეგიული გეგმის შემუშავებაში (თუმცა მათ დაეგზავნათ კითხვარები რაზეც სასწავლებელს პასუხი არ მიუღია).
სასწავლებელი ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ მისია
- 1 წლიანი და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები
- განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
- უსდ ვებ-გვერდი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები:
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების სტრუქტურა მოცემულია განვითარების სტრატეგიულ გეგმაში და, ასევე, დამოუკიდებელი სახით, განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. პირველი მონიტორინგის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაწესებულების სტრუქტურაში შევიდა ცვლილებები. კერძოდ: • სასწავლებელის სტრუქტურას დაემატა პარტნიორთა კრება, როგორც სასწავლებლის უმაღლესი მმართველობითი ორგანო; • სტრუქტურულ სქემაში აისახა პრორექტორი, რომელიც გათვალისწინებული იყო საშტატო განრიგით, მაგრამ არ იყო ასახული წინა სტრუქტურაში. მას დაექვემდებარა პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება; • სტრუქტურაში დაემატა საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება; რომელიც პასუხისმგებელია სასწავლებლის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და რესურსების მართვაზე; • საცურაო პრაქტიკის და კარიერის ცენტრს მისი ფუნქციებიდან გამომდინარე შეეცვალა სათაური და გახდა პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება; • შეიქმნა კვლევითი ცენტრი; • საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას მისი ფუნქციებიდან გამომდინარე შეეცვალა სახელწოდება და გახდა სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება; • რიგ სტრუქტურულ ერთეულებს დაქვემდებარებულობის ხარისხის გათვალისწინებით შეეცვალათ სახელწოდებები. კერძოდ სასწავლო საამქრები გახდა სასწავლო საამქროების განყოფილება ხოლო შესყიდვების სამსახური გახდა შესყიდვების განყოფილება; • გაუქმდა 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეულის სტრუტურული ერთეული.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხსიმგებლობები გაწერილია შესაბამის დებულებებში, სახეზეა სტრუქტურული ერთულების ეფექტური და კოორდინირებული მუშაობაც. სასწავლებლის მართვის ოპტიმიზაციის პროცესის ფარგლებში დაზუსტდა სასწავლებელში დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები. კოლეჯის წესდებითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით გამიჯნულია თანამშრომლების ფუნქციები.

დაწესებულების მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები თანამდებობაზე ინიშნებიან გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში შემუშავებულია წესი შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მართვის ორგანოებში შერჩევასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია მართვის ორგანოებში კანდიდატთა შერჩევა მოხდეს გამჭირვალობის, სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების დაცვით. მართვის ორგანოებში ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში სასწავლებლის გენერალური დირექტორი ქმნის კომისიას, რომელიც გენერალურ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს მართვის ორგანოებში პერსონალის დანიშვნასთან დაკავშირებით. კომისიის შექმნის შესახებ ინფორმაცია განთავსდება სასწავლებლის ვებ გვერდზე. კომისიის შექმნის, მუშაობის ვადები, შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიღების წესი ასევე განისაზღვრება გენერალური დირექტორის ბრძანებით კონკრეტული ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში.

სასწავლებლის მართვის ორგანოებია:

პარტნიორთა კრება, სენატი, გენერალური დირექტორი, რექტორი, პრორექტორი, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ, სასწავლებლის მენეჯმენტი გეგმავს პარტნიორთა კრების გაუქმებას და შესაბამისი ცვლილების ასახვას სასწავლებლის წესდებაში. ვინაიდან სასწავლებელს ამჟამად ჰყავს მხოლოდ ერთი პარტნიორი, გადაწყვეტილებები მომავალში გაფორმდება პარტნიორის გადაწყვეტილებისა და არა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ფორმით.

სენატი მოიცავს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, რომლის წევრებიც აირჩევიან კენჭისყრით და ასევე ინიშნებიან ბრძანებით. სენატის წევრების არჩევა/დანიშვნა აღწერილია სენატის დებულებაში, ხოლო რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების არჩევა/დანიშვნა აღწერილია შინაგანაწესსა და ნორმატიულ დოკუმენტში: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მართვის ორგანოებში შერჩევის წესი“ (დამტკიცებულია 2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N8). უნდა აღინიშნოს, რომ სენატის განახლებული დებულების მიხედვით, მის შემადგენლობაში შედის ორი სტუდენტი. კერძოდ, სენატის დებულების თანახმად სენატი იქმნება სასწავლებლის გენერალური დირექტორი ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს მის შემადგენლობას და სასწავლებლის აკადემიურ პერსონალთა შემადგენლობიდან ნიშნავს სენატის წევრებს. გენერალური დირექტორი ავტომატურად - იმავდროულად არის არის სენატის წევრი და სენატის თავმჯდომარე მთელი თავისი უფლებამოსილებით. სენატის წევრთა ვადა განისაზღვრება 4 წლის ვადით. სენატის წევრის სტატუსის მოპოვების საფუძველია გენერალური დირექტორის მიერ სენატის წევრად მისი დანიშვნა.

სენატის შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი, რექტორი, ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, ორი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი; სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები; აკადემიური პეროსნალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგნელები ფაკულტეტსა და თვითმმართველობაში აირჩევიან ღია კენჭისყრით და წარედგინებათ გენერალურ დირექტორს დასანიშნად.

რაც შეეხება სენატში გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სენატის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის მეშვეობით (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა); სენატის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ს უფლებამოსილია მოითხოვოს ფარული კენჭისყრის ჩატარება. კენჭისყრა ჩატარდება ფარული წესით, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ; კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება სენატის წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება; ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს;

კანდიდატის შესახებ კენჭისყრისას, ბიულეტენის შევსებისას სენატის წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ

ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით.

სასწავლებლის ძირითად საგანმანათლებლო და სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ:

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი, კვლევითი ცენტრი.

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი - ფაკულტეტი ბუსსს ანრის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია, რომლის მიზანსა და ფუნქციას წარმოადგენს მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით.

პროფესიული განათლების დეპარტამენტი - მეზღვაურთა რიგითი შემადგენლობის მომზადება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით.

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი - მოქმედი და დამწყები მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები STCW საერთაშორისო კონვენციის და მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კვლევითი ცენტრი - კვლევითი ცენტრის ფუნქციას სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სასწავლებლის სტრუქტურაში შედის სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესების დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

სტუდენტთა, მსმენელეთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება, სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების განყოფილება, მცურავი საშუალებები (ს/გ „კაპ.ო. ჩახვაძე“, სამაშველო და სწრაფმავალი კატარღები), კვლევითი ცენტრი, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება, შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილება, შესყიდვების განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება, საფინანსო განყოფილება, სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილება, არქივი, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, იურიდიული განყოფილება, საერთო საცხოვრებელი, სამედიცინო პუნქტი.

კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევისა და დანიშვნის პროცედურა გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისია.

სასწავლებლის განახლებული სტრუქტურა სრულად იძლევა სასწავლებლის მისიით დეკლარირებული მიზნების მიღწევისა და შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას, რადგან უზრუნველყოფს:

- სასწავლებლის 3 ძირითადი საქმინობის (სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმინობის და ადმინისტრაციული მართვის) წარმართვას;
- მართვის სისტემაში წარმოადგენლობითი და მმართველობითი ფუქნციის განმახორციელებელ სტრუქტურებს შორის ფუნქციათა განაწილებას;
- სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერაციული დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნას.

საქმისწარმოებისათვის კოლეჯი იყენებს საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების დებულებას, რომელიც მომზადებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების გათვალისწინებით:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ პრეზიდენტის განკარგულება 414 -1999წ ;
4. შპს ბუსსს ანრის წესდება;
5. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო ;
6. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა.

სასწავლებელში უკვე მოქმედებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა Eflow და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (საინფორმაციო ბაზა), რომელიც უკვე ტესტირების რეჟიმშია და დამდეგი სასწავლო წლიდან (2019 წლის სექტემბერი) გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა“ (დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N08), სადაც დეტალურადაა გაწერილი რისკების მართვის პროცედურა, გათვალისწინებულია ყველა შესაძლო რისკის დადგენის წესი, მათი მართვის მექანიზმები, კატეგორიები, გავლენა და მათი შემცირების გზები. ასევე შემუშავებულია რისკების შეფასების და პრევენციის გეგმა, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული რისკი, მისი წარმოშობის ალბათობით და შედეგით და მათი თავიდან აცილებისთვის საჭირო პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული იძლევა საშუალებას რათა უზრუნველყოფილი იყოს ძირითადი პროცესების უწყვეტობა.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა მოიცავს სამ ძირითად საკითხს. ესენია:

- სასწავლებლის ბიზნესპროცესების აღდგენის დაგეგმვა და უზრუნველყოფა, რაც უშუალოდ საოპერაციო გარემოს უკავშირდება
- უბედური შემთხვევისგან ბიზნესპროცესების აღდგენის დაგეგმვა, რაც სასწავლებლის საინფორმაციო სისტემების აღდგენას გულისხმობს
- კრიზისის მართვა, რომელიც სასწავლებელის გადაწყვეტილებების მიღების უნარს უკავშირდება და მოიცავს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ეფექტიან ზედამხედველობას და მართვას

გეგმა ისეა გაწერილი, რომ მოიცავს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის აუცილებელ პროცესს, რაც მათ საშუალებას მისცემს მინიმუმამდე შეამცირონ დანაკარგები, აღადგინონ შეფერხებული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება და გააგრძელონ სტუდენტების, ფაკულტეტის, პერსონალის და მსმენელების მომსახურება. გეგმა მუდმივად განახლებადია ვინაიდან გამომდინარეობს სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებებიდან.

ბიზნესპროცესების უწვეტობის გეგმა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის ავტორიზაციის სტანდარტების, ISO 9001:2015 6.1 ქვეთავისა და სასწავლებლის რისკების მართვის პროცედურის შესაბამისად და მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმის პროცესი შედგება ოთხი საფეხურისაგან. ეს საფეხურებია:
საფეხური 1 - რისკების იდენტიფიცირება
საფეხური 2 - რისკების შეფასება
საფეხური 3 - რისკების შემცირება
საფეხური 4 - რისკების კომუნიკაცია და მონიტორინგი

უსდ-ის ხელმძღვანელობას მისიისა და მიზნების შესაბამისად შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროგრამების/პროექტების შემუშავება/განხორციელება, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას და სხვა;

უსდ-ს გათვალისწინებული აქვს ინტერნაციონალიზაცია სტრატეგიულ გეგმაშიც და ამისათვის შექმნილი აქვს ცალკე სტრუქტურული ერთული „საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილება“, ამასთან, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უკვე შემუშავებულია.

ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კოლეჯის მიღწევები:

- 2012 წლის სექტემბრიდან უსდ-ს აქვს უფლება აწარმოოს უცხო ქვეყნების სტუდენტების ინგლისურ და რუსულ ენაზე სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურზე, სპეციალობებით: გემბანის მეზღვაური (მატროსი) და სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი).
- შპს ბუსსს ანრი სერტიფიცირებულია საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:2015 . ასევე IQNეტის სერტიფიკატის შესაბამისად.
- შპს „ბუსსს ანრი“ არის ისეთი ორგანიზაციების წევრი, როგორიცაა: საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია, აარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავტა ასოციაცია; ევროკავშირისაქართველოს ბიზნეს საბჭოს წევრი.
- საერთაშორისო ასოციაციაციები: IASST–ის (უშიშროებისა და გადარჩენის წვრთნების (მომზადების) საერთასორისო ასოციაცია) და Global MET–ის (გლობალური საზღვაო განათლება და მომზადება) BSAMI-ს (შავი ზღვისპირეთის საზღვაო სასწავლებლების ასოციაცია).
- ლექციებს და კურსებს კითხულობს გამოცდილი საზღვაო სპეციალისტები, კვალიფიცირებული პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები.

- წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში კურსები ტარდება საერთაშორისო, ეროვნული და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოდელ კურსების მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული პროგრამებით.
- სასწავლებელში არის საერთო საცხოვრებელი საქართველოს სხვა რეგიონებიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის.
- შპს ბუსსს ანრი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო კრუინგულ და გემთმფლობელ კომპანიებთან.
- უსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბაქოს უცხო ენების ინსტიტუტთან, რომლის ფარგლებშიც, დაგეგმილია,ამ უნივერსიტეტიდან მოწვეული პერსონალის მიერ ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება კოლეჯში დამდეგი სასწავლო წლიდან. ეს გათვალისწინნებულია სასწავლებლის ბიუჯეტითაც.
- უსდ-ს წარმომადგენლებს საინფორმაციო შეხვედრა ჰქონდათ ერასმუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენლებთან და დაგეგმილია მასთან აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პროექტებში კოლეჯის ჩართულობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლებლის სტრუქტურა
- სენატის დებულება
- შინაგანაწესი
- დოკუმენტი: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მართვის ორგანოებში შერჩევის წესი“
- დოკუმენტი: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა“
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მეტად გააქტიურდეს მუშაობა სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მიმართულებით.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შეფასება ხორციელდება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ამავე დროს, ბუსსს ანრი, როგორც საზღვაო განათლების განმახორციელებელი დაწესებულება, ექვემდებარება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენციების მოთხოვნების გათვალისწინებით ხარისხიან სერტიფიცირებას. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სასწავლებელში დანერგილია ISO 9001:2015 სტანდარტი. ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის დამატებით მექანიზმებს (პერსონალის შეფასება, სერვისების შეფასება, მატერიალური რესურსების შეფასება).

ამასთან, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს დაწესებულებაში ხარისხის მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით.

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს უფროსი და ორი სპეციალისტი - განათლების ხარისხის სპეციალისტი და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი. პირველი მონიტორინგის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებილი იქნა ნორმატიული დოკუმენტები: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმები“ და „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომლებიც დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 11 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N 09. დოკუმენტებში გაწერილია სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და აღნიშნულია, რომ სასწავლებლში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელება ეფუძნება პრინციპს: P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება, რომლის შესაბამისად ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას, განსაზღვრავს სასწავლებლის საქმიანობის შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემფასებელთა კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, თავად ამოწმებს ან/ და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანებების წარმოქმნის მიზეზებს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს, კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს და სხვ. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სასწავლო წლისთვის განსაზღვრავს ჩასატარებელ სამუშაოს, რასაც ასახავს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში. საანგარიშო პერიოდში ხარისხის განვითარებისა და უზურნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და განახლებულ იქნა:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის ფორმა
- საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის ინსტრუქცია
- საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების ფორმა
- სასწავლო კურსის სილაბუსის ფორმა
- სასწავლო კურსის სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია
- სასწავლო კურსის სილაბუსის შემოწმების ფორმა
- სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ფორმა

სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმები მოიცავს:

- სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა მონიტორინგსა და მისი შედეგების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში
- აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის შეფასებას
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას
- სერვისების შეფასებას
- მატერიალური რესურსის შეფასებას

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში (60 დღე) ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა რამდენიმე კვლევა. კერძოდ,

- შრომის ბაზრის კვლევა
- დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა

- საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა
- 2016 და 2017 წლების კურსდამთავრებულთა კვლევა
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი
- ბიბლიოთეკაში ჩატარებული სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა

აღნიშნული კვლევების ანალიზი და ანგარიშები დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 30 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე ოქმი N10.

ამასთან, პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესაბამისად, შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები. ასევე, შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა.

სასწავლებელში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- თვითშეფასება
- ინსტიტუციური კვლევებით მიღებული შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შემუშავება;
- ინსტიტუციური კვლევებით მიღებულ შედეგებზე რეაგირების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებისთვის გარე ექსპერტების მოწვევა და მიღებული რეკომენდაციების მიხედვით საჭირო ცვლილებების განხორციელება.
- სასწავლებელმა მიმდინარე პერიოდის განმავლობაში მოახდინა ავტორიზაციის თვიშეფასების ანგარიშის მომზადება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა და საჭიროების, შესაბამისი ცვლილებების შემუშავება; განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებისთვის გარე ექსპერტების მოწვევა.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ვიზიტის პერიოდში გაეცნო სახელმძღვანელოს „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექამიზმები
- ხარისხის უზურლველყოფის დამატებითი მექანიზმები
- გარე ექსპერტთან გაფორმებული ხელშეკრულება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის კულტურის ამაღლებისთვის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ერთეულთან სახელმძღვანელოს: „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015" გაცნობის მიზნით.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საანგარიშო პერიოდში ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის კუთხით სასწავლებელში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. შემუშავდა და დამტკიცდა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. მათ შორის - სტუდენტთა და მსმენელთა ეთიკის კოდექსი, დასაქმებულთა (პერსონალის) ეთიკის კოდექსი (დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ სენატის 2019 წლის 27 მარტის დადგენილების საფუძველზე ოქმი N07), ასევე, პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმების დებულება (დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ სენატის 2019 წლის 27 მაისის დადგენილების საფუძველზე ოქმი N12). აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ შეძენილი იქნა ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა - დოკუმენტების შემოწმების საინფორმაციო სისტემა უკვე გამოქვეყნებული წყაროების არამართებულად დასესხების გამოსავლენად.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუირებისას ინფორმირებულობა აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების თაობაზე გამომჟღავნდა ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მხრიდან. მათ შორის სასწავლებლის ფოიეში არის განთავსებული ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების კოდექსები რომლებიც ხელმოწერილია თანამშრომლებისა და სტუდენტის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- შრომის ბაზრის კვლევა
- დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა
- საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა
- 2016 და 2017 წლების კურსდამთავრებულთა კვლევა
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი
- ბიბლიოთეკაში ჩატარებული სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა
- სტუდენტთა და მსმენელთა ეთიკის კოდექსი
- დასაქმებულთა (პერსონალის) ეთიკის კოდექსი
- პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმების დებულება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლებელი ამჟამად ახორციელებს 2 საბაკალავრო პროგრამას, 6 პროფესიული საგნობრივი პროგრამას (მილევად რეჟიმში) და 2 საგანმანათლებლო მოდულურ პროგრამას. ბუსსს ანრიში ფუქნციონირებს ერთი ფაკულტეტი, 2 აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა, 2 მოდულური, 6 საგნობრივი (მილევად რეჟიმში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, 42 სასერტიფიკატო კურსი. ჯამში ხორციელდება 2 აკრედიტირებული საბაკალავრო პროგრამა; 8 ავტორიზებული პროგრამა. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამები: • საზღვაო ნავიგაცია • გემის ინჟინერ-მექანიკოსი პროფესიული (ავტორიზებული) პროგრამები: მე- III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები სპეციალობით: • გემბანის რიგირთი მეზღვაური (მატროსი); • სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური (მოტორისტი) ბუსსს ანრის ასევე აქვს უფლება განახორციელოს უცხო ქვეყნების სტუდენტების ინგლისურ და რუსულ ენაზე სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურზე, სპეციალობით: • გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი); • სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური (მოტორისტი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის N60 გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება: III საფეხურის პროფესიული მოდულური პროგრამები სპეციალობებით: • საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია; • გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 1,5 წელს. დაწესებულება საბაკალავრო პროგრამებს ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით და „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენციის 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში STCW კონვენციის გათვალისწინებით - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და საზღვაო დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შემუშავებული და დამტკიცებული იქნა მნიშვნელოვანი ნორმატიული დოკუმენტი: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია - დამტკიცებულია შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 30 აპრილის სენატის სხდომის დადგენილებით, ოქმი N10. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ეფუძნება ურთიერთანამშრომლობით პრინციპს და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები), რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების ეტაპზე ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს (ამ მიმართულებით, როგორ ზემოთ აღინიშნა, სასწავლებელმა ჩაატარა შესებამისი კვლევები: შრომის ბაზრის კვლევა, საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა, 2016 და 2017 წლების კურსდამთავრებულთა კვლევა), პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას; კოლეჯი მუშაობს პროგრამების

განახლებასა და განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მუდმივად ცვალებად გარემოსთან. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამების გაუქმების პროცედურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება • საგანმანათლებლო პროგრამები • შრომის ბაზრის კვლევა • დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა • საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა • 2016 და 2017 წლების კურსდამთავრებულთა კვლევა • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი • ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები:

შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება სასწავლებლის მისიას, და შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS), საერთაშორისო საზღვაო კონვენციის (STCW), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოთხოვნებს და, შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლებელი ანრი ახორციელებს აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამებს: საბაკალავრო პროგრამა „გემის ინჟინერ-მექანიკოსი“ საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“ ამ პროგრამების სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან (პირველი საფეხური - ბაკალავრიატი). აღნიშნული პროგრამების სფერო რეგულირებადია, პროგრამა შემუშავებულია ამ პროგრამების შესაბამისი სტანდარტის დაცვით. პროგრამის კომპონენტის მოცულობის განსაზღვრა ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით; საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე -7 სტანდარტის შესაბამისად, წინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოხდა სამანქანე განყოფილების რესურსების მართვის სიმულატორის, სატვირთო და საბალასტო ოპერაციების სიმულატორის, მაღალი ძაბვის ლაბორატორიის განახლება; შეძენილ იქნა და შესაბამის სტენდებზე დამონტაჟდა პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის და რეფრიჟერატორული ლაბორატორიების მოწყობილობა, საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო მათი შესაძლებლობების ასახვა შესაბამისი საგნების სილაბუსებში.
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას, რისთვისაც შექმნილი აქვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მართვის პროცედურა. ამ პროცედურაში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდიკა. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სასწავლო განყოფილება-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანმა და პროფესორ-მასწავლებლებმა შესაძლებელია სტუდენტთან შეთანხმებით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განხორციელდეს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის და რეფრიჟერატორული ლაბორატორიებისთვის ამოცანების შედგენა და ამ ლაბორატორიების შესაძლებლობების ასახვა შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლებელში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით ხდება საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. შეფასებები ჩაშლილია და სტუდენტს საშუალება აქვს, დეტალურად გაეცნოს შეფასების კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს.
შეფასების ძირითადი პრინციპებია: საჯაროობის პრინციპი – ინფორმაცია შეფასების მეთოდების, ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის და ასახულია სილაბუსებსა და საინფორმაციო ბაზაში, სტუდენტმა იციან თუ როდის და როგორ შეაფასებენ მის მიღწევებს; გამჭვირვალობის პრინციპი - ინფორმაცია შეფასების სისტემის, კრიტერიუმების, მეთოდების და პერიოდულობის შესახებ არის სრული, ამომწურავი და ადვილად აღქმადი; თანასწორობის პრინციპი - უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა სტუდენტი უნდა იმყოფებოდეს

თანაბარ პირობებში. თითოეულ სტუდენტს უნდა შეექმნას თანაბარი პირობები და მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა კომპეტენციების გამოსავლენად; სისტემატურობის პრინციპი – სტუდენტის მიღწევების დონის შეფასება ხდება არა ერთჯერადად, არამედ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, რადგან სტუდენტის მიღწევები უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ დაკვირვებას და იყოს შეფასებას, ანუ შესაძლებელი იყოს იმის გარკვევა - რა იცის, რას აცნობიერებს, რისი გაკეთება და ა.შ. შეუძლია სტუდენტს და როგორ ვითარდება მისი კომპეტენციები; სამართლიანობის პრინციპი – ყველა სტუდენტის მიღწევების შეფასება უნდა მოხდეს ერთიანი სისტემით, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების მხოლოდ წინასწარ დადგენილი და საჯარო კრიტერიუმები.

სასწავლებელში მოქმდებს სტუდენტთა მიღწევების შეფასების 100-ქულიანი (100%) სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემას და უშვებს:

ა) 5 დადებით შეფასებას:

A (max შეფასების 91%-100%) - ფრიადი,

B (max შეფასების 81%-90%) - ძალიან კარგი,

C (max შეფასების 71%-80%) - კარგი,

D (max შეფასების 61%-70%) - დამაკმაყოფილებელი,

E (max შეფასების 51%-60%) - საკმარისი.

პროგრამის კომპონენტის max დადებითი შეფასებაა 100 ქულა (max შეფასების 100%), ხოლო min დადებითი შეფასება - 51 ქულა (max შეფასების 51%);

ბ) 2 უარყოფით შეფასებას: Fx (max შეფასების 41-50%) - ვერ ჩააბარა (სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა);

F (max შეფასების 40% და ნაკლები) - ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლებელი უფლებამოსილია სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის, განსაზღვროს იმ სტუდენტთა დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულების საკითხი, რომელთაც შუალედური შეფასებებით მიღებული აქვთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებისათვის საკმარისი ქულათა ჯამი (max შეფასების ≥51%). აღნიშნულის საფუძველზე, სასწავლებელი ადგენს სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულებას, რათა იყოს უზრუნველყოფილი სასწავლო კურსით/პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის სრულფასოვანი შემოწმება;

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასების 100-ქულიან სისტემაში დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის წილი არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს (ანუ არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით);

სასწავლებელში სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის: შემაჯამებელი შეფასება – 100% (max. 100 ქულა) მათ შორის :

შუალედური შეფასებები – 60% (max. 60 ქულა)

დასკვნითი გამოცდა – 40% (max. 40 ქულა)

თუ სტუდენტის მიღწევების შეფასებას ერთდროულად ახდენს რამდენიმე პირი, მაშინ შეფასების ქულა უდრის ამ პირთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს;

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შემაჯამებელ შეფასებას და მისი მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდა დაძლეულად ითვლება, თუ სტუდენტმა დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შესაძლო მაქსიმალური 40 ქულიდან მიიღო არანაკლებ 16 ქულა,

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გამოცდის მომენტისთვის აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური 40 ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა, ანუ შუალედური შეფასებებით უნდა ჰქონდეს მიღებული არანაკლებ 21 ქულა;

დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება აქვს სტუდენტს: 1) დასკვნითი გამოცდის– 16 ქულაზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებების დაჯამებით სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში დაგროვილი აქვს 41-50 ქულა (შეფასება Fx); 2) დასკვნითი გამოცდის–

16 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში, თუ მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამებით სტუდენტს უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 41-50 ქულა;

სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება F შეფასება შემდეგ შემთხვევებში: 1) დასკვნით გამოცდაზე არ დაშვება, 2) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამებით სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში 41-ზე ნაკლები ქულის მიღება, 3) შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შეფასების დაჯამებით მინიმალურ დადებით შეფასებაზე (51 ქულაზე) ნაკლები ქულის მიღება, 4) დამატებით დასკვნითი გამოცდის 16 ქულაზე ნაკლები ქულის მიღება;

შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) შუალედური გამოცდა - მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება შუალედურ გამოცდაზე გასვლა ამისთვის დადგენილ ვადაში (არაუგვიანეს სემესტრის მე-10 კვირისა). განსხვავებულ ვადაში გამოცდის დანიშვნაზე უარის თქმის ან დადგენილ ვადაში გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუალედურ გამოცდაში ფიქსირდება 0 ქულა გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად;

ბ) დასკვნითი გამოცდა - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი 41-50 ქულა, შეუძლია დამატებით გამოცდაზე ერთჯერადად გასვლა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით სტუდენტს უგროვდება 41-ზე ნაკლები ქულა;

გ) დამატებითი გამოცდა- ფიქსირდება 0 ქულა და სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში შეფასება F;

დამატებითი გამოცდები ტარდება წინასწარ დადგენილ ვადებში. სტუდენტთა ხელშეწყობის, მხარდაჭერის და დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების დაცვის მიზნით დასაშვებია დადგენილისგან განსხვავებულ ვადებში დამატებითი გამოცდის დანიშვნა მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზის გამო დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, რის შესახებ წინასწარ (დამატებითი გამოცდის დაწყებამდე) უნდა სასწავლებლის ადმინისტრაციას. ყველა მსგავსი შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტის განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში დამატებითი გამოცდის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდეს დანიშნულ დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება F;

შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე დაგვიანების ან შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მიტოვების შემთხვევებში სტუდენტი კარგავს გამოცდაზე შესვლის ან გამოცდის დასრულების უფლებას და მოქმედებს შემდეგი წესი:

ა) შუალედური გამოცდა - 1) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოცდის მიტოვების შემთხვევაში სტუდენტი შეძლებს შუალედურ გამოცდაზე გასვლას ამისთვის განსაზღვრულ ვადაში (არაუგვიანეს სემესტრის მე-10 კვირისა); 2) შუალედურ გამოცდაზე დაგვიანების/არასაპატიო მიზეზით გამოცდის მიტოვების შემთხვევაში ფიქსირდება 0 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი 41-50 ქულა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა;

გ) დამატებითი გამოცდა- ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება F;

ზემოთ მითითებულ საპატიო მიზეზებში მოიაზრება მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა და ა.შ. ან სტუდენტისგან დამოუკიდებელი დოკუმენტურად დადასტურებული ობიექტური გარემოები, რის შესახებ დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში წინასწარ (გამოცდის დაწყებამდე) უნდა ეცნობოს სასწავლებლის ადმინისტრაციას. ყველა მსგავსი შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტის განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ საპატიო მიზეზის

დამადასტურებელ დოკუმენტში/ცნობაში უნდა იყოს მითითებული ცნობის/დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება, ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დოკუმენტის/ცნობის სარეგისტრაციო ნომერი, ცნობის/დოკუმენტის გაცემის თარიღი და საფუძველი, დოკუმენტი/ცნობა უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილი პირის (ვინაობის და თანამდებობის მითითებით) ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით. მითითებული ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი ცნობა/დოკუმენტი მხედველობაში არ მიიღება. სასწავლებელი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტის/ცნობის ნამდვილობა; შესაბამისად სტუდენტის მიერ ცნობის წარმოდგენა გულისხმობს მის თანხმობას ინფორმაციის გადამოწმებაზე.

შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე სტუდენტის მიერ წესრიგის ან სასწავლებლის დებულებით გათვალისწინებული ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში:

ა) სტუდენტს არ ექნება გამოცდის დასრულების უფლება;

ბ) დაიწყება დისციპლინური წარმოება და სტუდენტის მიმართ იქნება გამოყენებული სასწავლებელში მოქმდი „სტუდენტთა ქცევის კოდექსით“ ან სხვა რეგულაციით გათვალისწინებული სანქცია;

გ) თუ დისციპლინური სანქცია არ ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, მაშინ მოქმედებს შემდეგი წესი: შუალედური გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა; დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 50-41 ქულა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა; დამატებითი გამოცდის შემთხვევაში ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება F;

დ) თუ დისციპლინური სანქცია ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, მაშინ სტუდენტს არ აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება და სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F;

საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანების, მათ შორის საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინაწერების ან/და გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, ნახატი და ა.შ.), რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან, დატანის შემთხვევაში არ მოხდება საგამოცდო ნაშრომის შეფასება და მოქმედებს შემდეგი წესი:

ა) შუალედური გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 50-41 ქულა. სასწავლო კურსში ფიქსირდება შეფასება F, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა;

გ) დამატებითი გამოცდის შემთხვევაში - განმეორებით დამატებით გამოცდა არ დაინიშნება, ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება F.

შეფასება F მიღების შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსი - ახლიდან აქვს შესასწავლი, პრაქტიკა - ახლიდან აქვს გასავლელი ან/და სხვა. - ახლიდან შესასრულებელი;

კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების (max შეფასების ≥51%-ის) შესაბამისი ქულის მიღების შემთხვევაში სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) სწავლის შედეგები ითვლება მიღწეულად და სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის კრედიტი მიღებულად.

სტუდენტის ქცევის წესები

გამოცდები ტარდება შესაბამის საგამოცდო კვირას ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით;

გამოცდაზე გასვლის უფლება აქვთ მხოლოდ გამოცდაზე დაშვებულ სტუდენტებს, რომლებმაც, გამოცდაზე გამოცხადებისას, უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდები:

გამოცდა უნდა ჩატარდეს მხოლოდ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების და მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენებით. საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე დგება შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილი თარიღების და დროის მითითებით (დამატებითი გამოცდების თარიღების განსაზღვრა ხდება შემდეგი პირობის გათვალისწინებით: შუალედი დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა). შუალედური გამოცდა მოიცავს გამოცდის მომენტისთვის შესწავლილ

მასალას, დასკვნითი და დამატებითი გამოცდა - მთელ შესწავლილ მასალას. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი განსაზღვრავს თუ როგორ ჩატარდება გამოცდა - იქნება აკრძალული ნებისმიერი სახის სასწავლო მასალების გამოყენება თუ იქნება ნებადართული კონკრეტული ლიტერატურის/დამხმარე მასალის გამოყენების შესაძლებლობა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი შესაბამისი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე წარადგენს საგამოცდო საკითხებს/ტესტებს ჯგუფების/ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (მაგალითად, რამდენიმე ვარიანტის ელ. ვერსიებს) და იმ ცნობარების/სხვა. ჩამონათვალს, რომელთა გამოყენება იქნება ნებადართული. საგამოცდო საკითხების/ტესტების შინაარსობრივი სისწორე და ტექნიკური გამართულობა არის სასწავლო კურსის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის სფერო. საგამოცდო საკითხები მოწმდება ფაკულტეტის დეკანის მიერ და გადაეცემა ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს გასამრავლებლად.(წერილობითი გამოცდის შემთხვევაში) გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ წინასწარ წარდგენილი საგამოცდო საკითხების/ტესტების გამოყენება. გამოცდები შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ფორმატით (სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით): წერითი საკითხები; წერითი და ზეპირი საკითხები; ზეპირი საკითხები; წერითი და ზეპირი საკითხები + ტესტები; წერითი და ზეპირი საკითხები + დავალებები; წერითი და ზეპირი საკითხები + დავალებები + ტესტები; წერითი საკითხები + დავალებები; წერითი საკითხები + ტესტები; წერითი საკითხები + დავალებები + ტესტები; ზეპირი საკითხები + დავალებები, ზეპირი საკითხები + ტესტები; ზეპირი საკითხები + დავალებები + ტესტები; დავალებები + ტესტები; გამოცდის დასრულების შემდეგ ხდება სტუდენტების ნაშრომების შეფასება (წერილობითი გამოცდის შემთხვევაში), რაც აისახება შესაბამის ელექტრონულ ბაზაში და საგამოცდო უწყისში. მიღებული შეფასებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის. სტუდენტს უფლება აქვს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით და ვადაში გაასაჩივროს გამოცდის შედეგი;

გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, საწერი კალამი და სხვ.) ნივთებისა და ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ნებადართული (სტუდენტისთვის წინასწარ ცნობილი) ცნობარების, რუკების და სხვა შემოტანა, რომლებიც უნდა განთავსდეს საგამოცდო მაგიდის ზედაპირზე;

აკრძალულია: გამოცდაზე დაგვიანება; გამოცდაზე აკრძალული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, მობილური ტელეფონის, ნოუთბუქის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების, ნებისმიერი სახის ჩანაწერების) შეტანა ან გამოყენების მცდელობა; ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლა; დაწყებული გამოცდის უნებართოდ მიტოვება (შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად); საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/ წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან); დამკვირვებლის გაფრთხილების მიუხედავად წესრიგის დარღვევად მიჩნეული ქმედების (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა ან სხვა) განმეორებით ჩადენა; გამოცდის ჩაშლის მცდელობა, გამოცდაზე წესრიგის დარღვევა ან სასწავლებელში მოქმედი ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა. გამოცდაზე აკრძალული ნივთების შემოტანის/გამოყენების მცდელობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ნებაყოფილობით/ დამკვირვებლის მოთხოვნით დატოვოს ეს ნივთები მითითებულ განცალკევებულ ადგილას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სტუდენტის ქცევა მიიჩნევა გამოცდაზე წესრიგის დარღვევად;

გამოცდაზე დაგვიანების, დაწყებული გამოცდის (თუნდაც დროებით ან საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სხვ.) მიტოვების, გამოცდაზე წესრიგის დარღვევის (წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები) ან სასწავლებელში ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენის შემთხვევებში სტუდენტი კარგავს გამოცდაზე შესვლის/დასრულების უფლებას, მას უფიქსირდება შეფასება 0 ქულა და დგება შესაბამისი ახსნა–განმარტებითი ბარათი (გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში – სტუდენტის გვარის, გამოცდის დაწყებისა და გამოცდაზე სტუდენტის გამოცხადების დროის მითითებით, გამოცდის უნებართოდ მიტოვების შემთხვევაში – სტუდენტის გვარის, გამოცდის დაწყებისა და გამოცდის მიტოვების დროის მითითებით, გამოცდაზე წესრიგის დარღვევის ან სასწავლებელში ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენის შემთხვევებში – სტუდენტის გვარის და სახელის და მის მიერ ჩადენილი ქმედების მითითებით). საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანების შემთხვეაში არ ხდება ნაშრომის შეფასება, ფიქსირდება შეფასება 0 ქულა და დგება

ახსნა-განმარტებითი ბარათი სტუდენტის გვარის და სახელის და ნაშრომის შეფასებაზე უარის თქმის საფუძვლის მითითებით.

მოცემული წესის გათვალისწინებით შედგენილია საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კომპონენტების სილაბუსები. სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებშიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის სწავლის შედეგის შეფასებისათვის ნათლადაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპს. დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ამ მექანიზმის შესახებ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტი სასწავლებლის პრაქტიკაში არ დაფიქსირებულა. მაგალითად, თუ სტუდენტი არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, მას შეუძლია წერილობითი პროტესტით მიმართოს დეკანს შესაბამის სასწავლო კურსში გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. პროტესტი შეიძლება წარდგენილ იქნას როგორც სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებაში წერილობით, ასევე, შეიძლება გაგზავნილ იქნას სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@mtc-anri.edu.ge (პროტესტის ფორმის სტანდარტის აუცილებელი დაცვის პირობით).

ნაშრომის გასაცნობად სტუდენტმა იგივე წესით უნდა მიმართოს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში შედეგების გამოქვეყნებიდან. სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ნაშრომს (ოქმს) განცხადების წარდგენის შემდეგი სამუშაო დღის 12:00 საათის შემდეგ სამუშაო დღის დასრულებამდე;

სტუდენტს შეუფერხებლად მიეცემა ნაშრომის (ოქმის) დედანში გაცნობის უფლება;

პროტესტში უნდა მიეთითოს კონკრეტულად, თუ შედეგის რა ნაწილს აპროტესტებს სტუდენტი. პროტესტი უნდა იყოს დასაბუთებული. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

პროტესტი, ისევე, როგორც საკუთრივ ნაშრომი (წერილობითი გამოცდის შემთხვევაში), დეკანს/სასწავლო კურსის განმახორციელებელს გადაეცემა დაშიფრული სახით.

საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა, საჩივრის განხილვა ხდება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელთან ერთად. სასწავლო კურსის განმახორციელებლის მოწვევა არ არის საჭირო, თუ შეცდომა მდგომარეობს საგამოცდოს ცალკეული კომპონენტების შეფასებათა დაჯამებაში. თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის პრეტენზია ცალსახად საფუძვლიანია, მოხდება შეფასების გასწორება. შესაბამისი ჩანაწერი კეთდება ნაშრომზე დეკანის ხელმოწერით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მარეგულირებელ ნორმატივში დეტალურადაა გაწერილი სტუდენტთა მიღწევების შეფასების შეწონილი ქულის GPA გამოთვლის წესი, თუმცა, ინტერვიუს დროს სტუდენტების ინფორმირებულობა ამ მხრივ არ გამომჟღავნდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა დააფიქსირეს საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების სურვილი. მათ შორის, ერთ-ერთი პრაქტიკული კურსის ინგლისურ ენაზე სწავლების სურვილი. ამ მხრივ სასწავლებლის ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა ითვალისწინებს ბაქოს უცხო ენების ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომლის ფარგლებშიც, უკვე დამდეგი სასწავლო წლიდან (2019 წლის სექტემბერი) ამ ინსტიტუტიდან მოწვეული პერსონალი გაუძღვება სასწავლებელში ინგლისური ენის გაძლიერებულ რეჟიმში სწავლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სტუდენტთა მიღწევების შეფასების შეწონილი ქულის GPA გამოთვლის წესის შესახებ ინფორმირებულობის მიზნით ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან
- რეკომენდებულია, დაწესებულებაში გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება და რომელიმე პრაქტიკული კურსის სწავლება განხორციელდეს ინგლისურ ენაზე

რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებს დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ შემუშავებული იქნა პერსონალის მართვის დებულება - დამტკიცებული შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2019 წლის 11 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N09 - სადაც დეტალურადაა გაწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკა და შესაბამისი რეგულაციები, მათ შორის - პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების, შეფასების და პროფესიული განვითარებისა და აფილირების მექანიზმები. პერსონალის მართვის და შეფასების პოლიტიკის მიზანია, სასწავლებელში კვალიფიციური აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, პერსონალის შეფასება და წახალისება. პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია პროფესიული უნარების, სამართლიანობისა და კონკურენტულობის წახალისების პრინციპებზე. პოლიტიკის მიზანია დასაქმებულთათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტიულობას და მაღალი შედეგების მიღწევას, გამორიცხავს ნეპოტიზმსა და კლიენტიზმს. პერსონალის მართვის პრინციპები ხელს უწყობს სასწავლებლის თითოეულ დასაქმებულს საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაში; უზრუნველყოფს სასწავლებლის დასაქმებულთა პროფესიული განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებას; სასწავლებლის პერსონალის საქმიანობის სუსტი მხარეების წარმოჩენას და მათ აღმოფხვრას. ამასთან, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა (პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 30 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე ოქმი N10). დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასევე ეთმობა ყურადღება პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ხელშეწყობას. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ადამიანური რესურსი შედგება შემდეგი პერსონალისგან: I. აკადემიური

II. ადმინისტრაციული
III. მოწვეული ლექტორები
IV. დამხმარე (ტექნიკური) თანამშრომლები
სასწავლებლის პერსონალის საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონმდებლობა (შრომის კოდექსი) და სასწავლებლის შრომის შინაგანაწესი.
პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება სასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ასევე შრომითი ხელშეკრულების დანართების) საფუძველზე.
პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების მიზნით, სასწავლებელი, როგორც წესი, აცხადებს ვაკანსიებს შესაბამის პოზიციებზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, პერსონალის აყვანა ხდება სასწავლებელთან მათი წარსული თანამშრომლობის საფუძველზეც, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და შესაბამის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების გათვალისწინებით.
სასწავლებლის პერსონალის შერჩევა იყოფა კატეგორიებად:
I. ადმინისტრაციული, სამეცნიერო, აკადემიური და დამხმარე პერსონალი
II. აკადემიური თანამდებობები
III. მოწვეული ლექტორები
სასწავლებლის აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, რომელიც დაფუძნებულია გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე. აკადემიური კონკურსი ტარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, სასწავლებლის წესდებისა და სასწავლებლის სხვა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების მიზნით სასწავლებლის გენერალური დირექტორი გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადების თაობაზე. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
ამჟამად დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი ამგვარად გამოიყურება:
საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროცესს ემსახურება 15 არჩეული პროფესორით დაკომპლექტებული აკადემიური პერსონალი:
აქედან პროფესორი - 4; ასოცირებული პროფესორი - 5; ასისტენტ პროფესორი - 6
8 პროფესორი აფილირებულია სასწავლებელთან.
სასწავლო პროცესში ასევე ჩართულია კონკურსის წესით შერჩეული 88 მოწვეული პედაგოგი, აქედან 42 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების და 46 პროფესიულის, რომელთა უმრავლესობას აქვს ინდუსტრიაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.
2019 წლის 03 ივნისის მდგომარეობით მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში ჩატარებულია 226 კურსი, რომელიც გაიარა 352 მსმენელმა.
წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში სასწავლო პროცესში ჩართულია 30 პედაგოგი, რომელთა უმრავლესობა გამოცდილი მეზღვაურია.
სასწავლებლის პერსონალთან ფორმდება რამდენიმე ტიპის ხელშეკრულება:

- ადმინისტრაციული/აკადემიური/ სამეცნიერო და დამხმარე აკადემიური
- მოწვეული ლექტორები
- დამხმარე პერსონალი (ტექნიკური სამსახური)
- აფილირების ხელშეკრულებები

სასწავლებლის პერსონალის შრომითი საქმიანობა რეგულირდება სასწავლებლის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების (ასევე შრომითი ხელშეკრულებების დანართების) საფუძველზე და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

- სასწავლებლის წესდება
- შრომის შინაგანაწესი
- პერსონალის შერჩევის წესი
- თანამშრომლის ეთიკის კოდექსი
- აფილირების წესი
- სტრუქტურული ერთეულების დებულება
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ატესტაციის მექანიზმები, რაც ასევე რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით „პერსონალის მართვის დებულება“.
ინტერვიუირებისას პერსონალმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს შრომის წახალისების მექანიზმიც - დღესასწაულებზე ფასიანი საჩუქრებით თანამშრომელთა დასაჩუქრების სახით.
პერსონალმა დაადასტურა მონაწილეობა დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევაში.

ამასთან, პერსონალთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა სურვილი ინგლისურ ენაში მათი გადამზადებისა და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის. ამ მხრივ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს შესაბამისი ღონისძიებები დამდეგი სასწავლო წლიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის დებულება
- სასწავლებლის წესდება
- შრომის შინაგანაწესი
- პერსონალის შერჩევის წესი
- თანამშრომლის ეთიკის კოდექსი
- აფილირების წესი
- სტრუქტურული ერთეულების დებულება
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
- დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულების გააქტიურება ინგლისურ ენაში პერსონალის გადამზადებისა და ღონისძიებების გატარება პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ნორმატიულ დოკუმენტში „პერსონალის მართვის დებულება“ გაწერილია, რომ ბუსს ანრის „აკადემიური პერსონალის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა სასწავლო პროცესში საკუთარი ცოდნის ეფექტური გამოყენება და უახლესი კვლევების შედეგების დანერგვა“. ამასთან, „სასწავლებლის კვლევით ფუნქციას წარმოადგენს ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და მისი შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში“ (ციტ.). დებულების მიხედვით, სწავლების ფუნქციის მაგალითებია:

- კურიკულუმის შემუშავება
- მულტიდისციპლინური საგნების შემუშავება და სწავლება
- სწავლების ინოვაციური მეთოდების დამუშავება და დანერგვა სასწავლო პროცესში
- სტუდენტებისათვის დროული და კვალიფიციური შეფასებებისა და რეკომენდაციების მიწოდება
- სასწავლო პროექტების შემუშავება და განხორციელება
- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა კოლეგებისა და სხვა პროფესიონალების გამოცდილებისა და უახლესი კვლევითი მიგნებების გამოყენებით და ა.შ.

აკადემიური პერსონალის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება შესაძლებელია შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

- სტუდენტების გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგები;
- სტუდენტთა მიღწევები შესაბამის აკადემიურ დისციპლინებში;
- შეფასების ორგანოს მიერ პროფესორ-მასწავლებლის წლიური ანგარიშის შეფასების შედეგები, აკადემიური პერსონალის თვითშეფასება;
- აკადემიური პერსონალის შეფასებები; სწავლების დარგში მიღებული წოდებები ან ჯილდოები და ა. შ.

კვლევითი ფუნქციის მაგალითებია:

- მიმდინარე კვლევით პროგრამებში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- კვლევითი გრანტების მიღება;
- სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება;
- სემინარებზე, კონფერენციებზე, სამუშაო შეხვედრებზე მოხსენებების წაკითხვა;
- ინოვაციური სასწავლო მასალების შექმნა, რომლებიც სრულყოფს ტრადიციულ სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურებზე და ა.შ.

აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება შესაძლებელია შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

- პროფესორ-მასწავლებლის წლიური ანგარიშის შეფასების შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლის თვითშეფასება;
- კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებები;
- კვლევის დარგში მიღებული წოდებები ან ჯილდოები;
- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესორ-მასწავლებლის შემუშავებული კურიკულუმისა და სასწავლო მასალების მიღება და გამოყენება და ა. შ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასების ფორმები და, ასევე, მათი მინიმალური დატვირთვების რაოდენობები. სენატის 2019 წლის 11 აპრილის № 9 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის წესი“, რომლის თანახმად, დაწესებულებაში ერთი აკადემიური ჯგუფი არ შეიძლება იყოს 20 სტუდენტზე ნაკლები. სააუდიტორიო საათების ხანგრძლივობა შპს ბუსსს ანრიში სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 30 კვირას. სალექციო, პრაქტიკული, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაოს ერთი სააუდიტორიო მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს და მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთია. პროფესორებისთვის დატვირთვა განსაზღვრულია თანაბრად - სასწავლო წლის განმავლობაში 350 საათი, შესაბამისად ნახევარ განაკვეთზე მყოფი აკადემიური პერსონალისთვის დატვირთვა შეადგენს 175 საათს. აკადემიური პერსონალისთვის მთავარ სამსახურებრივ ვალდებულებას წარმოადგენს:

ა) ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის სამუშაო დრო ყოველი სამუშაო დღის განამავლობაში შეადგენს არანაკლებ 6 საათისა;

ბ) ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის სამუშაო დრო სამუშაო დღის განამავლობაში შეადგენს არანაკლებ 4 საათისა;

გ) შეთავსებით სადღეღამისო სამსახურში დასაქმებული და სასწავლებლის ნახევარ განაკვეთზე მყოფი აკადემიური პერსონალის სამუშაო დღის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 4 საათისა ან კვირის განმავლობაში არანაკლებ 20 საათისა ჯამურად. აკადემიურ პერსონალს, რომელიც იმავდროულად დასაქმებულია სასწავლებლის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, აქვს უფლება აიღოს არაუმეტეს აკადემიური თანამდებობის შესაბამისი სრული აკადემიური დატვირთვა. სასწავლებლის დამხმარე პერსონალი, რომელსაც თავისი კომპეტენციით შეუძლია წაიყვანოს სასწავლო კურსი, უფლებამოსილია ისარგებლოს აკადემიური დატვირთვით, რომელიც არ აღემატება კვირაში 8 საათს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. დაწესებულებას რანგირებული აქვს აკადემიური პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუირებისას პერსონალმა დაადასტურა დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა. საყურადღებოა, რომ თვითშეფასებაში დაწესებულება გასაუმჯობესებელ მხარედ თვლის პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ შემდეგ ასპექტებს: • სასწავლებელში აკადემიური და დამხმარე პერსონალის პრაქტიკული მოზიდვის სისტემის ჩამოყალიბება • პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემდგომი განვითარება • პერსონალის მართვის პროცესში პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს გამოყენების უზრუნველყოფა • სამართლიანი და ეფექტიანი ანაზღაურებისა და წახალისების სისტემის დახვეწა, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული ასპექტების განვითარებაზე სასწავლებლის მუშაობის გააქტიურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პერსონალის მართვის დებულება • აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის წესი • აკადემიური პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით • აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები • ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები: • მიზანშეწონილია, სასწავლებელში აკადემიური და დამხმარე პერსონალის პრაქტიკული მოზიდვის სისტემის ჩამოყალიბება • მიზანშეწონილია, პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემდგომი განვითარება • მიზანშეწონილია, პერსონალის მართვის პროცესში პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს გამოყენების უზრუნველყოფა • მიზანშეწონილია, სამართლიანი და ეფექტიანი ანაზღაურებისა და წახალისების სისტემის დახვეწა, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგებს
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბუსს ანრიში შემუშავებულია და მოქმედებს სწავლების საფეხურების მიხედვით (ბაკალავრიატი, პროფესიული) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების და სტუდენტთა უფლება-მოვალეობების წესი. რომელიც არის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის ნაწილი და შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. სასწავლებელს აქვს მოქნილი სისტემა განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, მათ შორის უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების კუთხითაც. საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულ იქნა ნორმატიული დოკუმენტი: „შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი“ - დამტკიცებული 2019 წლის 8 მაისი სენატის სხდომაზე, ოქმი N11, რომლის მიხედვითაც, სასწავლებელს შემუშავებული აქვს სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფილია შემდეგი ინსტიტუტებით: • სტუდენტური თვითმმართველობა • პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება • ფაკულტეტის და სასწავლებლის ადმინისტრაცია სასწავლებელში სტუდენტების უფლებების დაცვის მექანიზმებია: • სტუდენტური თვითმმართველობის მიერ სტუდენტური მხარდაჭერის პროექტების განხორციელება, სტუდენტების უფლებების დაცვა სასწავლებელში • პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების მიერ სტუდენტების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედებები და დასაქმების მხარდაჭერა • ფაკულტეტის და სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ სტუდენტებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა და პრობლემებზე რეაგირება • სასწავლებლის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამები • სტუდენტების მიერ სასწავლო კომპონენტში მიღებული შეფასების გასაჩივრება • სტუდენტთან დადებული ხელშეკრულება

აღსანიშნავია, რომ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა მრავალფეროვანია (ძირითადად მოიცავს სპორტული, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას), თუმცა თვითმმართველობა ნაკლებად ახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომელიც ორიენტირებულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სტუდენტების მოთხოვნა მსგავსი პროექტების განხორციელებაზე ნაკლებია.

სასწავლებლის სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე ზრუნავს პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება, თუმცა, მიზანშეწონილია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა ამ სერვისის შესახებ.

კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება:

ა) ახდენს სასწავლებლის დასაქმების მსურველი სტუდენტების და კურსდამთავრებულების რეგისტრაციას და მიაწვდის მათ ინფორმაციას სხვადასხვა ბიზნესის, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ;

ბ) დასაქმების მსურველ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და აძლევს შესაბამის რჩევა-დარიგებებს შერჩეული ვაკანსიების სპეციფიკების გათვალისწინებით.

გ) ამყარებს ურთიერთობებს დამსაქმებლებთან და უზრუნველყოფს მათ სტუდენტების შესახებ შესაბამისი ინფორმაციით;

დ) მოიძიებს და ამყარებს კავშირებს სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებებთან, მსხვილ კომპანიებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და მათ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიათა შესაბამისად უზრუნველყოფს რეკომენდაციებით და ინფორმაციებით მათთვის შესაფერისი სტუდენტების და კურსდამთავრებულების შესახებ მონაცემებით;

ე) შეიმუშავებს სპეციალური დასაქმების პროგრამებს, მოიძიებს გზებსა და საშუალებებს სტუდენტების სტაჟირებასა და შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით;

ვ) გასცემს რეკომენდაციებს დასაქმების მსურველ სტუდენტებზე მათი მონაცემების შესაბამისად;

ზ) აწყობს დასაქმების ფორუმებს;

თ) აწყობს ტრეინინგებს, ვორკშოფებს;

ი) იწვევსვ სტუმრებს გამოცდილების გაზიარების მიზნით;

კ) ანხორციელებს სასწავლებლის სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს

სასწავლებელში შემუშავებულია სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, თუმცა, ინტერვიუირებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ ამგვარ პრაქტიკას ადგილი არ ჰქონია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი
- სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები:

- მიზანშეწონილია, სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების შესახებ

შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებაში სტუდენტთა კონსულტირების კომპონენტი გათვალისწინებულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში და წარმოადგენს აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის ვალდებულებას. ამასთან, სასწავლებელში სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სერვისი, რომელთა მიწოდებაზე და განვითარებაზე პასუხიმგებლები არიან: • სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები • სტუდენტთა მსმენელეთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება • პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება • სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულები • ფაკულტეტები • სტუდენტური თვითმმართველობა მათ შორის, სასწავლებელში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების ძირითადი მიმწოდებელი სტრუქტურაა სტუდენტთა მსმენელეთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია სტუდენტთა კონსულტირება და მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუირებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს პედაგოგების მხრიდან კონსულტირების ფაქტები. მათ ასევე დაადასტურეს პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების აქტივობები, თუმცა, პერსონების, და არა სტრუქტურული ერთეულის სახით. ამდენად, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააქტიუროს მუშაობა ამ განყოფილების ცნობადობის გაზრდისათვის. აღნიშნულ სერვისს არსებითი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების იმ უნარებით აღჭურვაში, რომლებიც მათ შრომის ბაარზე ორიენტირებაში დაეხმარება, მათ შორის, ამ სამსახურმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტები ტრენინგებითა და სემინარებით ავტობიოგრაფიული მონაცემების შედგენის, გასაუბრების ჩატარებისა და სხვა მრავალი უნარების განვითარების მიზნით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სასწავლებელში უზრუნველყოფილია სტუდენტთა სათანადო კონსულტაციები და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. უზრუნველყოფილია კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები - წახალისება და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა, მხარდაჭერა. ხდება სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გათვალისწინება და ხორციელდება მათი სხვადასხვა სახით მხარდამჭერი ღონისძიებები. დანერგილია და ფუნქციონირებს სტუდენტების მოთხოვნელებაზე მორგებული სტუდენტური სერვისები. განსაკუთრებით საყურადღებოა აქტიური შეხვედრები დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუებისას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ტარდება სტუდენტების წამახალისებელი ღონისძიებები - წარმატებული სტუდენტების ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვების სახით. ასევე სტუდენტებს, აქვთ ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებისათვის. სტუდენტებს აქვთ საშუალება გადაინაწილონ სწავლის გადასახადი, ხოლო სოციალურად დაუცველ სტუდენტებს აქვთ ასევე ფინანსური შეღავათებიც.

სტუდენტები სწავლის საფასურს იხდიან მათთვის ხელსაყრელი გადახდის პირობით (სწავლის საფასურის გადახდა ყოველწლიურად, სემესტრულად და ყოველთვიურად). სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის დაწესებულია 10 % ფასდაკლება. სასწავლებელი, რეგიონებიდან ჩამოსულ სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს უფასოდ სთავაზობს საერთო საცხოვრებლით სარგებლობას. ასევე აღნიშნული სტუდენტები წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრში სერთიფიცირებას გადიან უფასოდ.

სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებსა და ამ მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობას სტუდენტთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს გამოკითხვის შედეგად.

სტუდენტთა დადებითი დამოკიდებულება საწავლის საფასურის გადახდის მექანიზმების მიმართ, რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას:

სწავლის საფასური მათთვის უსდ-ს შერჩევამდეა ცნობილი და არჩევანს მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომობის ფარგლებში აკეთებენ;

ბუსსს ანრის პოლიტიკის მიხედვით არ ხდება სწავლის განმავლობაში ფინანსური პირობების სტუდენტის საზიანოდ შეცვლა;

სასწავლებელში მოქმედებს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები;

როგორც კითხვარების ანალზი გვიჩვენებს, სასწავლებლის მიმართ სტუდენტების კმაყოფილების დონე მაღალია - შესაბამისად, მათ რაციონალურად მიაჩნიათ ამ სასწავლებელში თანხის ინვესტირება.

კოლეჯმა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაიწყო დაინტერესებული მხარეების სისტემური ჩართვა, ამ მხრივ, დაწესებულებამ უნდა გააძლეროს მუშაობა, რაც გულისხმობს სისტემაში დანერგილი მექანიზმების მეშვეობით მათგან რეგულარული და სრულფასოვანი უკუგების მიღებას სასწავლო პროცესისა და საანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტზე.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მხრიდან ინტერვიუირებისას დადასტურდა მათი აქტიური მონაწილეობა გამოკითხვებში სხვადასხვა ასპექტით კმაყოფილების კვლევებისას.

მაგალითად,

- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრით. კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა 89,5 % (17) აცხადებს, რომ ახლა რომ აბარებდეს ისევ ბუსსს ანრიში ჩააბარებდა, მხოლოდ 10,5% (2) აღნიშნავს, რომ აირჩევდა სხვა სასწავლებელს;
- გამოკითხულთა 95 % კმაყოფილია საკუთარი პროფესიით.
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 84,2 %, აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია მიღებულ პროფესიასთან.
  - საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ პროფესიით მუშაობა დაიწყო გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 79%-მა (15), ნაწილობრივ პროფესიით დასაქმებულია 5,2 % (1), ხოლო 15,8 % (3) დასაქმებულია არაპროფესიული მიმართულებით.
  - ამჟამად დასაქმებულ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 68,4 % (13) აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არიან, სამსახურით ნაწილობრივ კმაყოფილია ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 21,1% (4). ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 10,5% (2) აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არ არის.

- ამჟამად დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობა 84,2 % (16), აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია, ხოლო 15,8 % (3) აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული სამუშაოსთან.

ჯერ-ჯერობით, პრობლემად რჩება გაცვლითი პროგრამების არ არსებობა. უსდ არ არის ჩართული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და სტუდენტები და პერსონალი მოკლებულია შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, თუმცა, დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები ამ მიმართულებით და აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს უკვე ჰქონდათ შეხვედრა ერასმუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენლებთან კონსულტაციებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში დაწესებულების თვითშეფასებით გასაუმჯობესებელია შემდეგი ასპექტები: • სტუდენტთა კარიერული განვითარების პროგრამები • გასაძლიერებელია კარიერული მხარდაჭერის სერვისი • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სერვისების გაუმჯობესება • სტუდენტების ინტერესების დაცვა • სტუდეტური პროექტების დაფინანსება შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია სასწავლებლის გააქტიურება ამ მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული განვითარების გეგმა • ერთწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები • განხორციელებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები/პროექტები • სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, მუშაობის გააქტიურება დაწესებულების ჩასართავად საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში სტუდენტთა და პერსონალის მობილობის უზრუნველსაყოფად
რჩევები: • მიზანშეწონილია, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა სტუდენტებში • მიზანშეწონილია, კარიერული მხარდაჭერის სერვისის გაძლიერება და სტუდენტთა კარიერული განვითარების პროგრამების რაოდენობის გაზრდა • მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სერვისების გაუმჯობესება • მიზანშეწონილია, სტუდენტური პროექტების დაფინანსების გაზრდა
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
პირველი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე დაწესებულებაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, შემუშავდა კვლევის საქმიანობის პოლიტიკა, რომელიც გაწერილია ნორმატიულ დოკუმენტში „შპს ბუსსს ანრის კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები - დამტკიცებულის ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 (სასწავლებლის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია“. ნორმატიული დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს „სასწავლებლის ეგიდით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ კვლევასთან დაკავშირებით მოლოდინების და ჩარჩო მიდგომების განსაზღვრა, კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება“ (ციტ.). შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი არის კოლეჯი და არ ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. შესაბამისად, კვლევის განვითარების პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ „სასწავლებელი მოწოდებულია განახორციელოს კოლეჯის სტატუსის შესაბამისი კვლევითი საქმიანობა, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანი წარმართვა, რისთვისაც მზად არის კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში დანერგოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მიდგომები“ (ციტ.). სასწავლებელს სავსებით ლოგიკურად მიაჩნია, რომ კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის აუცილებელია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებელთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორის ფართო ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა. ეს გათვალისწინებულია სასწავლებლის სტრატეგიულ გეგმაში და ამისათვის გათვალისწინებულია ფინასებიც. 2019 წელს სასწავლებელმა გამოაცხადა შიდა საგრანტო კონკურსი 1 კვლევითი პროექტის დასაფინანსებლად. მიმდინარე წელს სასწავლებელში ჩატარდა ოკენის დღისადმი მიძღვნილი პროფესორ მასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული კონფერენცია “წყალი და ადამიანი“. ხოლო შემოდგომაზე იგეგმება საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, რომლის მასალებიც გამოიცემა კრებულის სახით. ამ ღონისიების დაფინასებისათვის თანხები გათვალისიწინებულია სასწავლებლის ბიუჯეტით. სასწავლებლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვლევითი საქმიანობის დაფინანსება. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დაფინანსებისათვის გამოიყო 28 000 ლარი. სასწავლებელმა შეიმუშავა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და პროდუქტიულობის მექანიზმები, ასევე კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების დოკუმენტი. რაც სასწავლებელს საშუალებას მისცემს დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს და გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობა. სენატის 2019 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით, სასწავლებლის ფაკულტეტზე შეიქმნა კვლევითი ცენტრი. სასწავლებელს დამტკიცებული აქვს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლებში. კვლევითი საქმიანობის განვითარების დოკუმენტი შემუშავებულია სასწავლებელის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კონსულტანტების თანამონაწილეობით. კვლევითი საქმიანობის განვითარების დოკუმენტი შედგება რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილისაგან. მასში ასახულია სასწავლებელის საქმიანობა, მისია, ხედვა, ღირებულებები, კვლევითი საქმიანობის

გამოწვევები, კვლევითი საქმიანობის განვითარება, კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მონიტორინგი.

კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა ეფუძნება, სასწავლებელის 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. კვლევითი საქმიანობა სასწავლებლის ერთ-ერთი სუსტი მხარეა, თუმცა სასწავლებელი ამას იღებს როგორც გამოწვევას და მომავალი 7 წლის განმავლობაში გეგმავს კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებას.

კვლევითი საქმიანობის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

1. კვლევითი საქმიანობის სიმცირე;
2. ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობით განხორციელებული კვლევითი საქმიანობის არარსებობა;
3. კვლევითი საქმიანობის არასებობა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით;
4. კვლევითი ინსტიტუტების არ არსებობა;
5. კვლევითი ცენტრის არ არსებობა;
6. სასწავლებელის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
7. სახელმძღვანელოების შემუშავების სიმცირე;
8. კვლევითი პროექტების განხორციელების სიმცირე;
9. პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება;
10. პერსონალის კვლევის პროდუქტიულობის შეფასება;
11. კვლევითი საქმიანობის წახალისება;
12. კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია;
13. კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

სკვლევითი საქმიანობის გამოწვევებიდან გამომდინარე სასწავლებელი აპირებს აქტიურ საქმიანობას სასწავლებელის კვლევითი პოტენციალის გაზრდის მიზნით, რისთვისაც საჭიროა რამდენიმე მიმართულებით აქტიური საქმიანობა.

1. სასწავლებელი ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას. სასწავლებელი პარტნიორულ ურთიერთობებს გაამლიერებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. სასწავლებელის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებას ქვეყანაში.

2. სასწავლებელის ფაკუტეტის ფარგლებში შეიქმნება კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანსაც სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3. კვლევითი ცენტრის ფარგლებში შემუშავდება კვლევები, მომზადდება სახელმძღვანელოები, აგრეთვე ანალიტიკური დოკუმენტები. კვლევითი ცენტრის საქმიანობაში სასწავლებელი ჩართავს სტუდენტებსაც, რომელთა მოზიდვის პროცესში სასწავლებელი მათ დაუფინანსებს სხვადასხვა პროექტის განხორციელებას.

4. კვლევითი კომპონენტის ფარგლებში სასწავლებელში შემუშავდება და დაინერგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, რის ფარგლებში განხორციელდება პერსონალისათვის შესაბამისი მოთხოვნების დაწესება (კვლევითი ნაშრომი, სტატია, სახელმძღვანელო, სამეცნიერო პროექტი) და განხორციელდება მისი შესრულების მონიტორინგი.

5. სასწავლებელში დაინერგება აკადემიური პერსონალის კვლევის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;

6. სასწავლებელი ხელს შეუწყობს კვლევითი პროექტების განხორციელებას, რისთვისაც სასწავლებელის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გაზრდის დაფინანსების თანხებს. სასწავლებელში უკვე არსებობს კვლევითი პროექტების დაფინანსების გამჭირვალე სისტემა.

7. სასწავლებელი გეგმავს მემორანდუმის გაფორმებას ეკონომიკურ აგენტებთან, რის ფარგლებშიც იგეგმება კვლევითი საქმიანობის განხორციელება ეკონომიკური აგენტების ინტერესებიდან გამომდინარე.

8. სასწავლებელი წაახალისებს სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესს.

9. კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისათვის და კვლევის რაოდენობის გაზრდის მიზნით სასწავლებელი გეგმავს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის შემოღებას, რაც აკადემიური საქმიანობის ნაწილი გახდება. აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს სასწავლებელში კვლევითი საქმიანობის პოტენციალის ზრდას.

10. სასწავლებელი გეგმავს კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას, რაც კვლევითი პოტენციალის ზრდის წინაპირობაა.

11. კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან და მკვლევარებთან თანამშრომლობა. კვლევის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით სასწავლებელი ხელს შეუწყობს სასწავლებელის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და ბაზებში კვლევითი პროდუქტების გამოქვეყნებას.

12. სასწავლებელი გააძლიერებს თანამშრომლობას ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების განხორციელებას, მათ შორის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას.

13. კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისათვის აუცილებელია ახალგაზრდა კადრების, მათ შორის სტუდენტების, მოწვეული პერსონალის ჩართვა კვლევით საქმიანობაში. სასწავლებელი ხელს შეუწყობს ამ პროცესს: კვლევითი პროექტებისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების გზით; ახალგაზრდა კადრების კვლევით პროექტებში ჩართვის გზით; ახალგაზრდა მკვლევარების საერთაშორისო მივლინებების დაფინანსების გზით; ახალგაზრდა მეცნიერების და მკვლევარებისათვის საორიენტაციო შეხვედრების ჩატარების გზით.

14. სტუდენტების ჩართვა კვლევით აქტივობებში.

კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის სამოქმედო გეგმა ასახულია სასწავლებელის ერთწლიან და სამწლიანი სამოქმედო გეგმაში.

კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მიმდინარეობა მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას უნდა დაექვემდებაროს.

სასწავლებელის გენერალური დირექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაეყრდნობა სასწავლებელის მაღალ წარმომადგენლობას. კვლევითი საქმიანობის განვითარების სამუშაო ჯგუფი მუდმივ მონიტორინგს გაუწევს კვლევითი საქმიანობის გეგმის შესრულების პროცესის მიმდინარეობას. შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობისაგან მოისმენს ანგარიშებს.

კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი ყოველწლიურად შეაფასებს კვლევითი საქმიანობის განვითარების დოკუმენტის შინაარსს და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

მონიტორინგის პროცესში მოხდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომელების, და პარტნიორი ორგანიზაციების (ეკონომიკური აგენტების) გამოკითხვა პროცესების სრულყოფის მიზნით.

მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში კვლევითი საქმიანობის განვითარების სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ანგარიშს, კვლევითი საქმიანობის განვითარებისა გეგმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ანგარიში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) შეფასების პერიოდი;

ბ) შეფასების მონაწილე პირები;

გ) შესწავლილი დოკუმენტაცია;

ე) დაგეგმილი ღონისძიებები;

ვ) სასწავლებელის მიერ განხორციელებული მოქმედებები კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით;

ზ) სამუშაო ჯგუფის შეფასება.

სასწავლებლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილია აქტივობები კვლევითი მიმართულების ხელშესაწყობად.
ამასთან, კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩასართავად, უპრიანი იქნებოდა კურიკულუმში იმგვარი სასწავლო კურსის ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტის კომპეტენციებს ამ მიმართულებით (მაგ., „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“). თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია სასწავლებლის სპეციფიკა და ის დარგობრივი სტანდარტი, რომლითაც დარეგულირებულია კურიკულუმი მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად.
ამასთან, დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშში სრულიად ლოგიკურად აღნიშნავს, რომ კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნისა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის რეკომენდებულია სხვა, როგორც დარგობრივ, ასევე, მრავალპროფილიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებელთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორთან სასწავლებლის კოოპერაცია და ურთიერთთანამშრომლობა. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია - ასასწავლებლის მიერ აღნიშნული სტრატეგიის განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს ბუსსს ანრის კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნისა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის, რეკომენდებულია, სხვა, როგორც დარგობრივ, ასევე, მრავალპროფილიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებელთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორთან სასწავლებლის კოოპერაცია და ურთიერთთანამშრომლობა.

რჩევები:

- მიზანშეწონილია, კურიკულუმებში იმგვარი სასწავლო კურსის ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტის კომპეტენციებს კვლევითი/ანალიტიკური მიმართულებით (მაგ., „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“)

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

საანგარიშო პერიოდში სასწავლებელში კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელდა გარკვეული აქტივობები. შემუშავდა და დამტკიცდა ნორმატიული დოკუმენტები:

- „კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები“ - დამტკიცებული ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07

და

- „კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები“ - დამტკიცებული ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 (სასწავლებლის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია).

ხაზგასმით მნიშვნელოვანია სასწავლებლის მხრიდან საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინება კვლევითი აქტივობების დაგეგმვისას. დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციაში არაერთგზისაა ნახსენები სიტყვა „მეცნიერება“, რაც, სასწავლებლის სტატუსიდან და პრაქტიკაზე ორიენტირებული შინაარსიდან გამომდინარე, ზედმეტად უტრირებულია. ასევე გაზვიადებულია სასწავლებლის მიერ რეფერირებადი და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო პუბლიკაციების მოთხოვნა პერსონალისთვის. სასწავლებელს ეს პოტენციალი არ გააჩნია. სასწავლებელი სტატუსით კოლეჯს წარმოადგენს, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო და პროფესიულ პროგრამებს და არ გეგმავს სამომავლოდ სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. შესაბამისად, სასწავლებლის რესურსი სრულ შესაბამისობაშია საკუთარ სტატუსსა თუ დარგობრივ მიმართულებასთან. სწავლების განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სათანადო პრაქტიკული თუ პროფესიული კომპეტენციებით შესაბამისი დარგობრივი მიმართულების ფარგლებში. ამდენად, რეკომენდებულია, სასწავლებელმა განავითაროს პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური შინაარსის იქნება და მოემსახურება შესაბამისი ცოდნისა თუ კომპეტენციების განვითარებისთვის ეფექტური მიდგომების მეთოდოლოგიის შემუშავებას.

ამასთან, განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმებში სასწავლებელს ჩამოყალიბებული აქვს კვლევითი საქმინობის მომავალი სტარტეგია, რომელიც მოიცავს როგორც ინტერნაციონალიზაციის, აგრეთვე ახალგაზრდა კადრების კვლევაში ჩართვის ამოცანებს.

დამტკიცდა აგრეთვე პერსონალის ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, რომელიც ითვალისწინებს კვლევითი პროექტების დაფინანსებას. აღნიშნული წესით, პერსონალის მიერ წარმოდგენილი ინიციატივებისა და პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე გადაწყვეტილებას (შესაბამისი რესურსის ფარგლებში) იღებს გენერლური დირექტორი, კომისიის წარდგინების საფუძველზე.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, სასწავლებელი გააძლიერებს თანამშრომლობას უცხოურ უნივერსიტეტებთან, რისთვისაც გაფორმდება მემორანდუმები.

დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, სასწავლებელი გეგმავს ხელი შეუწყოს კვლევით პროექტების/აქტივობების გააქტიურებას უცხოელ პარტნიორებთან.

ამ მიზნით, სასწავლებელი უკვე სექტემბერში ბაქოს უცხო ენების ინსტიტუტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მოიწვევს ინგლისური ენის სპეციალისტს და გაძლიერებულ რეჟიმში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებასა და პერსონალის მომზადება-გადამზადებას ამ მიმართულებით.

ერასმუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრაზე დაიგეგმა სასწავლებლის ჩართვა საერთაშორისო პროექტებში სამომავლოდ.

ინტერვიუირებისას პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა სასწავლებელში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებისა და სასწავლებლის საერთაშორისო პროექტებში ჩართვის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასებაში დაწესებულება თავად აფასებს ამ მიმართულებით გასაუმჯობესებელი აქტივობების მნიშვნელობას, რასაც ემთხვევა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები - დამტკიცებული ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 • კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები - დამტკიცებული ბუსსს ანრის 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 (სასწავლებლის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია • ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის დოკუმენტი • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 წლები - დამტკიცებული შპს ბუსსს ანრის სენატის მიერ 2019 წლის 30 აპრილის სხდომაზე, ოქმი N10 (ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო/შემოქმედებითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან) • სამოქმედო გეგმა 2019-2021 დამტკიცებული შპს ბუსსს ანრის სენატის მიერ 2019 წლის 30 აპრილის სხდომაზე, ოქმი N10 (ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო/შემოქმედებითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან) • ინტერვიუები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სასწავლებელმა განავითაროს პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური შინაარსის იქნება და მოემსახურება შესაბამისი ცოდნისა თუ კომპეტენციების განვითარებისთვის ეფექტური მიდგომების მეთოდოლოგიის შემუშავებას • რეკომენდებულია, კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ეფექტიანი ანგარიშგებისა და შეფასების სისტემის განვითარება • რეკომენდებულია, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა • რეკომენდებულია, საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით აკადემიური პერსონალის კომპეტენციების განვითარება (საპროექტო წინადადების მომზადება, უცხო ენის ფლობა, ანალიტიკური უნარები)
რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლებელს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ნორმატიული დოკუმენტი: „კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმები“ - დამტკიცებული 2019 წლის 27 მარტის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N07 (კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები). ამასთან, დაწესებულების თვითშეფასებაში ნათქვამია, რომ „სასწავლებელი მუშაობს კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის განვითარებაზე, რომელიც დაეყრდნობა სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის და კვლევის ხარისხის შეფასება დაეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას. შეფასების დაწყებას წინ უნდა უსწრებდეს პერსონალის ინფორმირება. სასწავლებელი ახალი წესის დანერგვამდე დაიწყებს აკადემიური პერსონალის შეფასებას მისი საქმიანობიდან გამომდინარე. რომლის შემდგომი ეტაპი იქნება პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასება“ (ციტ.). საგულისხმოა, რომ სასწავლებლის კვლევის განვითარების პოლიტიკა კორელაციაშია სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებაში, პერსონალის კვლევითი საქმიანობის ადეკვატური შეფასებისთვის, ასევე აქტუალური და მნიშვნელოვანია წინა, 6.2. ქვესტანდარტში ჩვენს მიერ ფორმულირებული რეკომენდაცია, რომელსაც ციტატის სახით მოვიყვანთ: „ხაზგასმით მნიშვნელოვანია სასწავლებლის მხრიდან საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინება კვლევითი აქტივობების დაგეგმვისას. დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციაში არაერთგზისაა ნახსენები სიტყვა „მეცნიერება“, რაც, სასწავლებლის სტატუსიდან და პრაქტიკაზე ორიენტირებული შინაარსიდან გამომდინარე, ზედმეტად უტრირებულია. ასევე გაზვიადებულია სასწავლებლის მიერ რეფერირებადი და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო პუბლიკაციების მოთხოვნა პერსონალისთვის. სასწავლებელს ეს პოტენციალი არ გააჩნია. სასწავლებელი სტატუსით კოლეჯს წარმოადგენს, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო და პროფესიულ პროგრამებს და არ გეგმავს სამომავლოდ სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. შესაბამისად, სასწავლებლის რესურსი სრულ შესაბამისობაშია საკუთარ სტატუსსა თუ დარგობრივ მიმართულებასთან. სწავლების განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სათანადო პრაქტიკული თუ პროფესიული კომპეტენციებით შესაბამისი დარგობრივი მიმართულების ფარგლებში. ამდენად, რეკომენდებულია, სასწავლებელმა განავითაროს პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური შინაარსის იქნება და მოემსახურება შესაბამისი ცოდნისა თუ კომპეტენციების განვითარებისთვის ეფექტური მიდგომების მეთოდოლოგიის შემუშავებას“ (ციტ.). შესაბამისად, მხოლოდ აღნიშნულის გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების ადეკვატური სისტემის დანერგვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმები • კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები • ინტერვიუები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სასწავლებლის სპეციფიკისა და დარგობრივი თავისებურების გათვალისწინებით, პრაქტიკაში დაინერგოს აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის ადეკვატური, ობიექტური სისტემა
რჩევები:

შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საანგარიშო პერიოდში სასწავლებელში მატერიალური რესურსების განახლების კუთხით განხორციელდა ქმედითი აქტივობები. კერძოდ მოხდა სამანქანე განყოფილების რესურსების მართვის სიმულატორის, სატვირთო და საბალასტო ოპერაციების სიმულატორის, მაღალი ძაბვის ლაბორატორიის განახლება. შეძენილ იქნა და შესაბამის სტენდებზე დამონტაჟდა პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის, ტექნიკური მექანიკის და ელექტროტექნიკის ლაბორატორიების მოწყობილობა. სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სასწავლებელს მფლობელობაში აქვს მოძრავი და უძრავი ქონება, რომლებზეც არსებობს უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. ბუსსს ანრის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი, 6 სართულიანი შენობა-ნაგებობა) განთავსებულია ერთ მისამართზე: ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N29. ბუსსს ანრის სარგებლობაშია 1202 კვ.მ დაზუსტებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელზეც განლაგებულია 3200 კვ.მ საერთო ფართის მქონე 6 სართულიანი შენობა-ნაგებობა, მათ შორის სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი ფართობია 1662,14 კვ.მ., რომელიც მოიცავს აუდიტორიებს, ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულებისთვის განკუთვნილ ოთახებს, კაბინეტებს, კომპიუტერულ კლასს, ბიბლიოთეკას, წიგნსაცავს, საკონფერენციო დარბაზს, კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელს, რეალურ სამანქანე განყოფილებას და მასთან არსებულ სასწავლო ლაბორატორიებს, სახელოსნოებსა და საამქროებს (სახარატო სახელოსნო, საზეინკლო სახელოსნო, საშემდუღებლო სახელოსნო), გემის რეალურ ტრენაჟორს, ხმელეთზე განთავსებულ ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორს, სამედიცინო პუნქტს. სასწავლებელი უწყვეტად უზრუნველყოფილია კომუნალური მომსახურებით (ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (გენერატორი), წყალი (სისტემური და წყლის აუზი), ბუნებრივი აირი, სანიტარული კვანძები, ბუნებრივი და ხელოვნური განათება, გათბობის ცენტრალური სისტემა, კონდიცირება, დასუფთავება). სასწავლებელში დასრულებულია ხანძარსაწინაარმდეგო სისტემების მონტაჟი (მათ შორის სასწავლებლს შენობაში ავტომატური სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის და საევაკუაციო მაჩვენებლების (გასასვლელების) მიწოდება, მონტაჟი და პროგრამირება), ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო ყუთები, დამონტაჟებულია საევაკუაციო გარე კიბე. არსებული ქონება სრულად პასუხობს საგანმანათლებლო მიზნებს და ამოცანებს. აუდიტორიები მოწყობილია სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით შესაბამისი ინვენტარით, ტექნიკური აღჭურვილობით და ინტერნეტით. საგანმანათლებლო მიზნებისთვის მოწყობილია სპეციალიზებული ლაბორატორიები, ტრენაჟორები, სამანქანე დარბაზი, საამქროები და სხვა სასწავლო სივრცეები. ბიბლიოთეკა მოიცავს კომპიუტერებით აღჭურვილ სამკითხველო დარბაზს, ცალკეა

წიგნსაცავი. საკონფერენციო დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და დანადგარებით. სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით, პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებით. სასწავლებელში არის სამგზავრო ლიფტი, რომელიც პასუხობს უსაფრთხოების ნორმებს და ასევე გათვალისწინებულია სსსმ პირების გადაადგილებისთვის. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, სასწავლებლის მე-5 სართულზე სანიტარული კვანძი ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. სწავლებისა თუ მომზადების პროცესი მიმდინარეობს პროგრამების შესაბამისი ვიდეო მასალებისა და სიმულატორების გამოყენებით. დოკუმენტაციითაც დასტურდება, რომ სასწავლებელს შესყიდული აქვს საზღვაო პროგრამებისათვის საჭირო ინვენტარი, მათ შორის სიმულატორები, სატვირთო ტანკების შემოწმების ლაბორატორია, სამაშველო ჟილეტები, ECDS, GMDSS, RADADARPA და სხვ. სრულყოფილი პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად სასწავლებელს გააჩნია თ/მ "კაპიტანი ოთარ ჩახვაძე", სწრაფმავალი და სამაშველო კატარღები, მოტონავი, სამაშველო ტივი, სანავიგაციო ხიდურის მართვის სიმულატორი, ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო სიმულატორი, რადილოკაციური და ავტომატური რადიოლოკაციური სიმულატორი, რეალური სამანქანო განყოფილება, ლაბორატორიები და საამქროები, რეალური გემის მოდელი, საცურაო აუზი. სასწავლებელს ჰყავს 198 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე. დაწესებულების მთლიანი ტერიტორია შემოღობილია და მასში შესასვლელი გაკონტროლებულია შინაგანაწესის და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, რომელსაც ევალება ტერიტორიის დაცვა და დარღვევებზე რეაგირება შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით. დაწესებულების შენობის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა, სასწავლებელში შემოსასვლელ პუნქტზე და პირველ სართულზე დამონტაჟებულია სათვალთავლო ვიდეო კამერები, თვალსაჩინოდ გამოკრულია გაფრთხილება ვიდეო კამერების არსებობის და გადაღების მიმდინარეობის შესახებ. წესრიგის დაცვას ახორციელებს სტრუქტურული ერთეული: „შინაგანწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილება" და ხელშეკრულებით აყვანილი დაცვის თანამშრომლები, რომლებიც ექვემდებარებიან სამეურნეო განყოფილებას. ტერიტორიაზე მოწყობილია პარკირების ზონა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან • შესყიდვების აქტები, ზედნადებები, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები, ინვენტარიზაცია • ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შემოწმების აქტი • ინტერვიუები • შენობის და შენობის გარეთ არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საანგარიშო პერიოდში ბუსსს ანრის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და განახლებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: 2019 წელს ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. განახლდა სამკითხველო დარბაზი. შეიცვალა ბიბლიოთეკის მუშაობის გრაფიკი. სასწავლებლის ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში ექვს დღეს (ორშაბათი-შაბათი 10.00 სთ. – 20.00 სთ.). ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბარათული (მათ შორის - ანბანური და თემატური), ასევე ელექტრონული კატალოგი (http://anri.library.ac.ge/eg/opac/home), რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას (ILS-Integrated Library System) და მოიცავს ფუნქციებს:

- რესურსების კატალოგიზაცია/ინვენტარიზაცია
- ვებ-კატალოგი (OPAC- Online Public Access Catalogue)
- სინქრონიზაცია სხვა ანალოგებთან

2019 წლის 16 აპრილის „ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სასწავლებლის ბიბლიოთეკაში დაინერგა ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა „OpenBiblio” (http://mtc-anri.edu.ge/lib/opac/index.php).

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს 8695 ერთეულს და პერმანენტულად იზრდება შეძენილი და საჩუქრად შემოსული საბიბლიოთეკო მასალებით. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას. აქედან, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სასწავლებლის წიგნადი ფონდი გაიზარდა 1077 ერთეულით. რაც შეეხება სასწავლებლის ბიუჯეტით გათვალიწინებულ თანხებს, 2019 წელს იგი შეადგენს 5000 ლარს.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ექსპერტთა მიერ სილაბუსების მიხედვით მოთხოვნილი ყველა წიგნი აღმოჩნდა ადგილზე. ბიბლიოთეკაში ასევე არის კომპაქტურ დისკებზე ჩაწერილი ელექტრონული რესურსები და სასწავლო მასალები.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები EBSCO EP Package Elite -ში შემავალი ელექტრონული ბაზებთან წვდომის მიზნით შპს Innovative Systems Management - თან, რომლის მონაცემთა ბაზის მეშვეობით სასწავლებელს ექნება წვდომა მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო სააგენტოს, Associated Press - ის ვიდეოთეკასთან (მონაცემთა ბაზა შეიცავს 1700-მდე პერიოდულ გამოცემას - ბიზნესის, ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების სხვადასხვა დარგების და ა.შ. მიმართულებით). ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე 2019 წელს განახლდა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ბიბლიოთეკის დებულება. 2019 წლის მაისში ჩატარდა გამოკითხვა „ბიბლიოთეკით სარგებლობის კმაყოფილების კითხვარი“, რომლის შედეგები გაანალიზებულია ბიბლიოთეკის გამგის მიერ („2019 წელს ბუსსს ანრის ბიბლიოთეკაში ჩატარებულ სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის ანალიზი“). ბიბლიოთეკაში არის 3 თანამშრომელი. ბიბლიოთეკის გამგეს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მრავალწლიანი გამოცდილება. სამივე თანამშრომელს გავლილი აქვს შესაბამისი ტრეინინგი. ინტერვიუირებისას სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურეს საბიბლიოთეკო რესურსების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა.

აღნიშნულის მიუხედევად, ბიბლიოთეკაში აღინიშნება დარგში არსებული თანამედროვე ინგლისურენოვანი გამოცემების ნაკლებობა. რეკომენდებულია ბიბლიოთეკის რესურსების განახლება თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი დარგობრივი გამოცემებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები
- ბუსსს ანრის ბიბლიოთეკაში ჩატარებულ სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის ანალიზი
- სასწავლებლის ვებგვერდი http://www.mtc-anri.edu.ge/
- ელ. კატალოგი http://anri.library.ac.ge/eg/opac/home http://mtc-anri.edu.ge/lib/opac/index.php
- ელ. ბაზები
- ინტერვიუები
- ბიბლიოთეკის დათვალიერება

რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება თანამედროვე, მათ შორის უცხოენოვანი დარგობრივი გამოცემებით
რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საანგარიშო პერიოდში, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, სასწავლებელში 2019 წელს განახლდა ოფიციალური ვებ-გვერდი. ის გახდა უფრო მეტად ინფორმაციული და მას დაემატა ახალი ოფციები: "სტუდენტური ცხოვრება", "ხარისხის უზურნველყოფა", "სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა" და სხვ. სასწავლებელს შემუშავებული აქვს ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი დებულებები. ვებ-გვერდზე ინფორმაციის გაახლება ხდება სისტემატიურად. ასვე, ფუნქციონირებს ვებ-გვერდის ინგლისური ვერსია. სასწავლებელში მოქმედებს ზოგადი სტანდარტის შესაბამისი ქსელი (Router -> ლოკალური ქსელი). საკაბელო ქსელით დაფარულია სასწავლებლის მთელი ტერიტორია. მიმდინარე წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების მიერ განხორციელდა 2 საკვანძო გამანაწილებელი წერტილის გაახლება უფრო მაღალი გამტარობის აპარატურით (100 მბ-ანი კვანძები ჩანაცვლდა 1000 მბ-ანით). 2020 წლის ბოლომდე დაგეგმილია გამოიცვალოს ყველა ძირითადი საკვანძო გამანაწილებელი წერტილი ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით. გამართულია დომენური სისტემა. ცენტრალიზებულად ხორციელდება ოპერაციული სისტემების განახლება. სასწავლებელს ემსახურება ინტერნეტ-პროვაიდერი („სილქნეტი“) და მისგან ინტერნეტის მოწოდება ხდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის საშუალებით, კერძოდ: მიმდინარე ხელშეკრულებით 2018 წლის 5 დეკემბრიდან ცენტრალურ router - ზე ქ.ბათუმი 6010, შალვა ინასარიძის ქ. №29;) მიღებული ინტერნეტის სიჩქარე განისაზღვრება 12 მბ/წმ-ით გლობალურ არხზე და 100-1000 მბ/წმ-ით ლოკალურ არხზე (პროვაიდერი კომპანია „სილქნეტი“). საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების მიერ პერიოდულად ხორციელდება სიმულატორებზე განთავსებული მონაცემთა ბაზების ასლების აღება (BackUp) და საცავში შენახვა. კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია ინტერნეტში 24/7 რეჟიმით - როგორც პერსონალისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. 2019 წლიდან სასწავლებლის კორპორატიული ფოსტის სერვისები დაინერგა და ფუნქციონირებს mtc-anri.edu.ge დომენით. ამჟამად კორპორატიულ ფოსტაზე დარეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობაა 90 (თანამშრომლები, სტუდენტები). ამ მიმართულებით სამუშაოები გრძელდება. სასწავლებელში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემა e flow. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო ადგილებზე გააქტიურებულია ნორმატიული აქტების ბაზა codex (ადმინისტრაცია, საფინანსო, მატერიალური რესურსები, იურიდიული სამსახური, სამართლის დეპარტამენტი) და საბუღალტრო პროგრამა (info-ბუღალტერია). სასწავლებლის საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება

ახორციელებს სათადარიგო დეტალების შესყიდვას წინასწარი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია "შ.პ.ს გეპა"-თან. ინტერვიუირებისას სტუდენტებისა და პერსონალის მხრიდან დადასტურდა ინტერნეტის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა. ტესტირების რეჟიმშია ელექტრონული პორტალი სტუდენტების სარგებლობისთვის, რომლის ამოქმედებაც დაგეგმილია 2019 წლის სექტემბრიდან.

ამასთან, წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით, სასწავლებელი თვლის, რომ „გასაუმჯობესებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფორმატიული და მეგობრული ვებგვერდის უწყვეტი ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე“ (ციტ.). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა ამ მხრივ სასწავლებლის მიერ შემდგომი ქმედითი აქტივობების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა
- სასწავლებლის ვებ-გვერდი
- ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 წლები
- დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ინტერვიუები
- ვიზუალური დათვალიერება

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაგანვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ქვესტანდარტის ფარგლებში სასწავლებელში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. შემუშავდა და დამტკიცდა ნორმატიული დოკუმენტი: „შპს ბათუმის საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა“ , რომელიც დამტკიცებულია ბუსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N08. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაწესებულებას ჰყავს საშტატო განრიგით უზრუნველყოფილი ფინანსური მენეჯერი - საფინანსო განყოფილების უფროსი. შემუშავდა და დამტკიცდა საფინანსო განყოფილების ახალი დებულება (2019 წლის 04 აპრილი). 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას (განახლებისას) გათვალისწინებულ იქნა სასწავლებლის განვითარების პრიორიტეტები მომავალი საბიუჯეტო წლისათვის წინასწარ განსაზღვრულ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. სასწავლებელში შემუშავებულია ანგარიშვალდებულების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც გაწერილია ზემოაღნიშნული დოკუმენტით და უზრუნველყოფს სასწავლებლის ფინანსური რესურსების ეფექტური მართვის შესაძლებლობას. ამ ეტაპზე ხდება ამ სისტემის პრაქტიკაში დანერგვა და გამოცდა. ბიუჯეტში გამოყოფილია ფინანსური რესურსები კვლევითი აქტივობების მხარდასაჭერად.

დაგეგმილი შემოსავლის მიღების მიზნით, ყოველკვარტალური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საფინანსო განყოფილება სასწავლებლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ახორციელებს ადმინისტრირების ღონისძიებებს. მათ შორის, გასცემს ინფორმაციას სტუდენტთა დავალიანების შესახებ კანონმდებლობით გასატარებელი ღონისძიების მიზნით. ფინანსური სამსახური ატარებს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწესებულება თვლის, რომ სასწავლებლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადი, ადეკვატური და საკმარისია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასწავლებლის ფინანსური შემოსავლები შემოიფარგლება სტუდენტთა და საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა სწავლის გადასახადებით, რაც საკმარისი საფუძველია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციისათვის, დასახული ამოცანების ეფექტურად განხორციელებისათვის გააქტიურდეს სასწავლებლის მენეჯმენტის მუშაობა დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებისათვის სხვადასხვა გრანტების, დარგის განვითარებაზე ორიენტირებული ფონდებისა და შესაბამისი პროექტების სახით.

სასწავლებლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მოცულობა ბოლო 4 წლის მიხედვით დინამიკაში ყოველწლიურად მზარდია.

მიუხედავად იმისა რომ დინამიკაში იკლო ტრეინინგებიდან და სასერთიფიკატო პროგრამებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, აღნიშნული აიხსნება სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ლოიალური პოლიტიკით (ფასდათმობები, შეღავათები სწავლების პროცესში და ა. შ.). მიმდინარე ეტაპზე გადახედილ და შესწავლილი იქნა საფასო პოლიტიკა ამ პროგრამებთან მიმართებაში და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სხვა მსგავსი ტიპის სასწავლებლებთან შედარებით დაბალი ფასების და ხარისხიანი პროგრამების შეთავაზებით კონტიგენტის რაოდენობა გაიზარდოს მნიშვნელოვნად.

ბიუჯეტის დაფინანსების სხვა წყაროებიდან მისაღები შემოსავლების მოცულობა მთლიან შემოსავლებში მცირეა და თავის მხრივ ფორმირდება საიჯარო ქირიდან და სასტუმროდან მიღებული შემოსავლებით.

სასწავლებლის ბიუჯეტის გეგმის შემოსავლით ნაწილში სრულად არის გათვალისწინებული ყველა სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შესაძლებელია სასწავლებელმა მიიღოს წლის განმავლობაში. დაგეგმვის პროცესში სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საბიუჯეტო წელი არ ემთხვევა სასწავლო წელს (პერიოდს), შესაბამისად, სტუდენტთა სწავლის გადასახადით მისაღები შემოსავლის დაგეგმვა ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლისათვის პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების გათვალისწინებით. მიდგომა მისაღები შემოსავლების შეფასების ნაწილში კონსერვატიულია და არაგადაჭარბებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლებლის ბიუჯეტი • ნორმატიული დოკუმენტი: „შპს ბათუმის საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა“ • განვითარების სტრატეგიული გეგმა • ერთწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები • საფინანსო განყოფილების დებულება • ინტერვიუები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, დასახული ამოცანების ეფექტურად განხორციელებისათვის გააქტიურდეს სასწავლებლის მენეჯმენტის მუშაობა დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებისათვის - სხვადასხვა გრანტების, დარგის განვითარებაზე ორიენტირებული ფონდებისა და შესაბამისი პროექტების სახით.
რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან